# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**
ჩვეულებრივი [illegible] რედზე პეტიტი-ლრის 10 კ., [illegible] კნელზე—10 [illegible] დებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს მ., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში ელ. 1 მ. მეტი.
**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**ფასი გაზეთისა:** **უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ორშაბათს, 11 მკათათვეს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კნეინა

## სალომე (ბუბუცა) ალექსანდრე ჩიჩუას ასული ციციშვილისა

რასაც უგულითადესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: **მეუღლე** კონსტანტინე გრიგოლის ძე ციციშვილი. დედამთილი მიცვალებულის კნეინა ლიუდმილა გაბრიელის ასული ციციშვილისა, **მაზლნი** მიცვალებულისა: თავად ვლადიმერ გრიგოლის ძე თავის მეუღლე ნატალია სოლომონის ასულით და თავ. ვასილ გრიგოლის ძე ციციშვილები. **დედა** კნეინა ელენტი გიორგი გელოვანის ასული ჩიჩუასი, **ძმები:** ვარლამ, ალექსი და დავით ალექსანდრეს ძენი ჩიჩუები. **დები:** ოლღა ალექსანდრეს ასული კიკალიშვილისა, კნეინა მენიკი ალექსანდრეს ასული ანჩაბაძისა, ნინო ალექსანდრეს ასული თურქიასი, კნეინა მარიამ ალექსანდრეს ასული დადიანისა, **კნიაჟნები:** ოლიმპიადა და ვერა ალექსანდრე ჩიჩუას ასულნი, **აღმზრდელნი მიცვალებულისა: ბიძა** თავ. გიორგი კონსტანტინეს ძე და ბიცოლა კნეინა ივლიტე ნესტორ დადიანის ასული ჩიჩუები, **ბიძაშვილი** მიცვალებულისა: კნეინა ნინო გიორგი ჩიჩუას ასული ინალიშვილისა თავის მეუღლითურთ თავადის ასტამურის საათბეის ძის ინალიშვილისა. პანაშვიდები ყოველ დღე, დილის ათ საათზე და საღამოს შვიდ საათზე, საკუთარ ბინაზე, (ვარდის უბნის ქუჩაზედ, № 5.) საიდანაც გამოასვენებენ 13 მკათათვეს, საღამოს 6 საათზე, წაასვენებენ სოფელ **ნიჩბისში,** სადაც მოხდება დაკრძალვა თავად ციციშვილთა საგვარეულო აკლდამაში, 14 ამა თვეს, წირვის შემდეგ.
(1—175—1)

**პირველ ხარისხოვანი რესტორანი**

## კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.
(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

**სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ ,,კაფე პარიზში‘‘ შეიძლება.**
**ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია**

**ყოველ დღე მზადდება**

საუზმე, სადილები, ვახშმები | ჩაი, ყავა, ხაჭაპური, პიროჟკები

**ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის ხელმძღვანელობით.**

პატივისცემით **სილ. ს. გიგიბერია.**

**ექიმი**
## მ. ი. ვაჩნაძე
**იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—9)

**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**
**ექიმი**
## ა. დ. შაჰაბაზიანცი
ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**
## ახალი აფთიაქი
**—პროვიზორის ახვლედიანისა—**

**დ. ზესტაფონში**
## ექიმი
## დ. კ. მაჭავარიანი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

**ექიმი**
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
**უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.**

## ვამზადებთ
პირობით ხელმისაწდომ ფასებში
## პრაპორშჩიკთა შკოლისათვის
მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.
**მისამართი:** მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—25

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის** 15-დან **იღებს მანგლისში** კორპუსის ბანაკში

**ექიმი-დოსტაქარი**
## გ. მ. მუხაძე
იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)

**ოთხშაბათს, 13** მკათათვეს, ქართული დრამატიული დასის, მსახიობთა მიერ, წარმოდგენილი იქნება:

## ქ უ რ დ ი
ვოდევ. 1 მოქ.

**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.
(1—176—1) სტუმრები საზოგადო წესით

## „ახალ კლუბისათვის“ საჭიროა ზედმეტ მოსამსახურენი (ოფიციანტები) იღებენ მანდილოსნებსაც
**მისამართი:** „ახალ კლუბის“ კანტორაში დილით 11—3 საათ. და საღამოს 8—11 საათამდე. (3—169—3)

## ვაგზლის საავადმყოფოში
**(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)**
## საავადმყოფოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.
აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოხელიანისა** მიიღებს **დედათა სნეულებით** ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

## თბილისი, 13 მკათათვე

**კიდევ ძველის გზით**

ამ ომის განმავლობაში დაპყრობილ შავი ზღვის სანაპიროების შესახებ მთავრობას ჰქონდა ერთგვარი გეგმა, რომელიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ეს ტერიტორია და აგრეთვე მთლად აჭარა, საიდანაც ქართველი მაჰმადიანები იძულებით იქმნენ აყრილი და განდევნილი, სრულს საკუთრებად მიეცად ამ ომში მონაწილე აფიცრობისთვის. ასეთი ცნობა ჩვენს გაზეთშიაც მოვიყვანეთ. ეხლა ამას უნდა დაუმატოთ კიდევ ახალი ამბავი—ბათუმის გუბერნატორს გაუგზავნია მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მმართველობისთვის 18 თხოვნა „პოლტაველ თავად-აზნაურთა“, რომელნიც თხოულობენ მიწებს ახლად დაპყრობილ ლაზისტანის არე-მარეში. გუბერნატორის აზრით „მთხოვნელები მსხვილი მესაკუთრენი არიან და მათ სურთ მაღალი ხარისხის კულტურის გაშენება“. რა გვარი მაღალი კულტურის გაშენება უნდათ „პოლტაველ აზნაურებს“ ეს ჩვენ არ ვიცით და ვინ იცის, იქნებ თვით მათაც ამის შესახებ ჩვენზე უფრო გარკვეული წარმოდგენა არ ჰქონდეთ. მაგრამ ეს „მაღალი კულტურის“ საბუთი მაინც თავისას იზამს და ალბად ტრაპიზონის მიდამოებში ამ აზნაურებს დიდის თავაზით მიუზომავენ მიწებს. იქვე არ არის, რომ ნუშის, ფორთოხლისა და ზეთისხილის ბაღებში ეს აზნაურები „მაღალ კულტურას“ შეიტანენ ისე, როგორც შეიტანეს ეს აფხაზეთში და ეხლანდელ შავი ზღვის გუბერნიაში, სადაც ოსმალეთიდან უკანასკნელ ომის შემდეგ რუსეთის მთავრობამ ხელი შეუწყო ჩერქეზებისა და აფხაზების აყრას და გადასახლებას და მათი მიწები რუსეთის დამსახურებულ მოხელეებს დაურიგა. ამას უთუოდ მაშინაც მაღალი კულტურის შეტანით დაასაბუთებდენ. და ეს კულტურა კი იმაში გამოიხატა, რომ საუცხოვო ბაღები სრულიად გავერანდა. ეხლაც მოიპოება ამ მიდამოებში ჩერქეზთა და აფხაზთა ყოფილი სოფლები ტყედ ქცეულ ხეხილის ბაღებით.

გაუგებარი და უაზროა ასეთი პოლიტიკა. კულტურული მიზნები აქ რა მოსატანია, მაგრამ ეს არ მართლდება არც სახელმწიფოებრივი თვალთაზრისით. სახელმწიფომ რომ დაპყრობილ ქვეყნებში თავის ქვეშევრდომებს მიწები მოუპოვოს, ეს ეხლანდელ დროში არავის არ აკვირვებს. მაგრამ აქაც ერთგვარი გარჩევაა საჭირო. ერთია სახელმწიფო, რომელიც თავის საზღვრებში არ ეტევა, რომელიც მიწის სივიწროვეს განიცდის და სულ სხვაა როდესაც სახელმწიფო თითქმის ცარიელია, საზღვრები განუზომელი და ველმინდვრები დაუსრულებელი, დაუმუშავებელი, მოუვლელი. თუ ასეთი სახელმწიფო ახალ ქვეყნებს დაიპყრობს. რად უნდა აიძულოს მან მკვიდრნი, რომ მათ თავისი მამულები მიატოვონ და სხვაგან გადასახლდენ. მით უმეტეს, როდესაც ეს დაპყრობილი ქვეყნები ბუნებრივი გაგრძელებაა იმპერიის ნაწილებისა, როდესაც იქ ბინადრობს იგივე ერი, როგორც თვით სახელმწიფოს საზღვრებში. ლაზისტანი საქართველოს ნაწილია და მისი მკვიდრნი ქართველებია. ნუთუ სახელმწიფოს ინტერესებს ავნებს თუ ამ მდიდარ ქვეყანაში ყოველივე დარჩება ისე, როგორც არის—საუცხოვო ბაღებით დაფენილი სოფლები მშვიდ და მუყაით მცხოვრებლებით... ამის ნაცვლად ტიალი მიდამოები თუნდაც პალტაველ აზნაურების ხელში აბა რა ბედნიერებას უქადის მთავრობას და სახელმწიფოს?..

მეორეს მხრით, ნუ თუ მთავრობამ არ უწყის ის საშინელი სივიწროვე, რომელსაც განიცდის ქართველი ხალხი? ის ხშირად თავის კერას სტოვებს და შორეულს უცხოეთში ესახლება. მას ჩრდილოეთისკენ გზას გარდუვალი ქედი ღობავს და ბუნებრივი მისი ზრდა-განვითარება მხოლოდ სხვა მიმართულებით თუ მოხერხდება. თუ შავი ზღვის სანაპიროებზე თავისუფალი მიწები აღმოჩნდება განა ქართველ ხალხს მაზედ მეტი უფლება არ აქვს, ვინემ პოლტაველ აზნაურებს და კანცელიარებში დამსახურებულ მოხელეებს? და საქმე თუ აზნაურობაზეა, განა საქართველოში ცოტა მოიპოება ხელმოკლე აზნაურობა? დროა აწ მაინც ანგარიში გაუწიონ იმ ერის უაღრესს ინტერესებს და საჭიროებებს, რომელმაც სახელმწიფოს ძლიერებას ბევრი რამ შესწირა მსხვერპლად... ძველი გზა და მიმართულება, როდესაც მთელი ერის ბუნებრივ საჭიროებებს რამოდენიმე აზნაურის და მოხელის უძირო მადას ანაცვალებდენ, არავითარი საღი სახელმწიფოებრივი მოსაზრებით არ გამართლდება.

## ფინეთის სეიმის დეპუტატთა არჩევნები
(საკუთარის კორესპონდენტისა)

დეპუტატების არჩევნები უკვე დასრულდა, რის შედეგიც დღევანდელ ფინურ გაზეთებში უკვე გამოქვეყნებულია. სანამ არჩევნების შედეგს შევეხებოდე, საჭიროდ მიმაჩნია ცოტა რამ განმარტება წარუმძღვარო თვით არჩევნების წეს-რიგს და საზოგადოდ კონსტიტუციის იმ ნაწილს, რომელიც შეეხება ამომრჩეველთა უფლებებს.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ყველა მოქალაქეს, რომელსაც 24 წელი შესრულებია და წლიურად იხდის სახელმწიფოს სასარგებლოდ 4 მარკას [1]). არჩევნები ხდება: **საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული.** თვით სეიმი **ერთ-პალატიანია.** ამ 5 მცნების მიხედვით ფინეთში წოდება გაუქმებულია, ქალი და კაცი თანასწორ-უფლებიანია, ყველა მოქალაქე პირდაპირ იღებს მონაწილეობას დეპუტატების არჩევნებში და არა მის მიერ ამორჩეულების საშუალებით, ყოველ მოქალაქეს ერთი ხმა აქვს, არჩევნები ფარულად ხდება და თვით ხმათა რაოდენობაში და დეპუტატთა არჩევნებში დაცულია პრინციპი პროპორციისა ე. ი. ყოველ განსაზღვრულ პოლიტიკურ მიმართულების ამომრჩეველთა საერთო რიცხვს (ჯამს) გავლენა აქვს საკუთარ დეპუტატის არჩევნებზე.

როგორც მკითხველი დაინახავს, ფინეთის კონსტიტუცია უაღრესად ხალხოსნურია და მარტივი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სოციალდემოკრატების, ეგრედ წოდებული პროგრამა მინიმუმი ფინეთში თითქმის განხორციელებულია!

ზემო მოყვანილი პრინციპები არჩევნებისა, განმარტებულია „სეიმის წესდებაში“, რომელიც დამტკიცებულია უმაღლესად ფინეთის დიდის მთავრის მიერ 1906 წელს [2]) სეიმის დეპუტატებს ირჩევენ სამის წლით. პირველი არჩევნები ამ ახალ საფუძვლებზე მოხდა 1907 წელს. შემდეგ წლებში სეიმი თითქმის მხოლოდ თითო წელი რჩებოდა, რადგან მას უმაღლესი ბრძანებით ითხოვდენ და ახალ არჩევნებს ნიშნავდენ. ამ მიზეზის გამო წრევანდელი არჩევნები მეშვიდეა, თუმცა ნორმალურ პირობებში რომ მიმდინარებულიყო სეიმის მუშაობა, წრევანდელი არჩევნები იქნებოდა მხოლოდ მესამე!..

აქვე მოგვყავს ზოგიერთი საყურადღებო ცნობები უკანასკნელ არჩევნებისა:

| პარტიები: | ამომრჩეველთა რაოდენობა: 1913 წ. | 1916 წ. | დეპუტატების რაოდ. 1913 წ. | 1916 წ. |
|---|---|---|---|---|
| სოც.-დემოკრატ. . . | 312,214 | 375,306 | 90 | 103 |
| ძველი ფინნები . . | 143,982 | 140,162 | 38 | 33 |
| ახალი ფინნები . . | 102,313 | 98,307 | 29 | 23 |
| შვედომანნები . . | 94,672 | 92,657 | 25 | 21 |
| აგრარიები . . . | 56,977 | 71,131 | 18 | 19 |
| ქრისტიან მუშ. პარტ. | 12,850 | 14,500 | — | 1 |
| უპარტიონი (გარეულები) | 1,296 | 1,713 | — | — |
| სულ . | 724,304 | 799,386 | 200 | 200 |

ამ ცხრილში მკითხველი უპირველეს ყოვლისა ყურადღებას მიაქცევს დეპუტატთა რაოდენობის ცვალებადობას პარტიულ დაყოფის მიხედვით 1913 წელსა და 1916 წელს შორის, რომლის საერთო რიცხვი, რასაკვირველია, მუდამ ერთი და იგივეა ე. ი. 200. ამათგან სოც.-დემოკრატებს ეკუთვნით ახალ სეიმში 103 დეპუტატი. სეიმის უმრავლესობა მათი იქნება. ფინეთის საკანონმდებლო ორგანო თითქმის ერთიანად მათ სურვილებზე იქნება დამოკიდებული, თითქმისო ვსთქვი, რადგან არსებით ანუ ძირითად კანონების შესაცვლელად უბრალო უმრავლესობა არ არის საკმარისი, არამედ $^2/_3$ ხმა მთელ დეპუტატებისა. სოც.-დემოკრატებს ფართო ასპარეზი აქვთ გადაშლილი სამოქმედოდ, რაც ფრიად დიდ მნიშვნელოვანია ფინეთის ერისთვის და ამასთან დიდათ საყურადღებო ყველა ერისთვის და სახელმწიფოებისთვის...

ფინეთის მარქსისტთა მაგალითი მომავალში, რასაკვირველია, ბევრ პატარა ერისთვის იქნება გამოსადეგი და გამოცდილების მიმცემი...

რაც შეეხება ფინურ პრესას—ძალიან გულგრილად შეხვდა სოციალ-დემოკრატების გამარჯვებას! ასეთი კეთილი განწყობილება აიხსნება მარქსისტთა ზომიერებით და საზოგადოდ მათი მოქმედების ეროვნული ხასიათით. მაგალითად, უმთავრესი მოწინააღმდეგე ძველ ფინთა პარტიის ლეიბ-ორგანო „Uusi Suometar“-ი აი რასა სწერს ამ შედეგის შესახებ: „დღეის შემდეგ—მიმართავს მარქსისტებს—სამშობლოს ბედის ჩარხის ტრიალი თქვენს ხელთ იქნება და ამიტომ გმართებსთ მეტი მხნეობა, სიდინჯე, საქმიანობა და გონიერება, ვიდრე დღევანდლამდე იყო!.. გახსოვდეთ თქვენი მძიმე მოვალეობა და ჩვენ დანარჩენებიც თქვენთან ერთად მზად ვიქნებით სამშობლოს სამსახურისთვის, რომლის ბედ-იღბალი ყველა პარტიისთვის ერთნაირად არის საყურადღებო!“ საზოგადოდ უნდა შევნიშნო, რომ აქ არ ეტყობა ის პარტიული ჟინიანობა და ერთი მეორის გესლიანი კიჟინი, რომელსაც ჩვენ ვართ შეჩვეულნი!

სოციალ-დემოკრატიულ სეიმის საყოველთაო მნიშვნელობაზე აქ ბევრს აღარ გავაგრძელებ, რადგან მის შესახებ ბევრი რამის თქმა შეიძლება და სხვა და სხვა ნაირი დასკვნის გამოტანა, რაც სავსებით მკითხველთათვის მიმინდვია. შემდეგ ამისა მკითხველის ყურადღებას მივაქცევ ცხრილის მეორე ნახევარზე, რომელიც გვიჩვენებს საერთო რიცხვს ამომრჩევლებისას წარსულსა და ახლანდელს არჩევნებისას. მათი საერთო რიცხვი 800,000-საც კი ვერ აღწევს, როდესაც ფინეთში 3,000,000 მცხოვრებია და ყოველ მათგანს ხმა აქვს!.. ეს მაგალითი იმის მაჩვენებელია ალბად, რომ მოქალაქეთა მიერ უფლებების სრულ მოხმარებისთვის და გონიერად გამოყენებისთვის ძალიან დიდი განათლება და მაღალი კულტურა ყოფილა საჭირო, გაცილებით მაღალი, ვიდრე დღევანდელ კაცობრიობამ იცის!.. ისიც მართალია, რომ ამომრჩეველთა ხმების დათვლა ჯერ სავსებით დასრულებული არ არის, მაგრამ მისი რაოდენობა დაახლოვებით თითქმის იგივე იქნება, ძალიან მცირედის განსხვავებით. ასეთია შედეგი დეპუტატთა არჩევნებისა, რომელთა შეკრებაც სეიმში მოსალოდნელია მხოლოდ ომის დასრულების შემდეგ.

**დ. ჩიქოვანი.**

1/14 მკათათვე.
ჰელსინკი.

[1]) მარკა უდრის 46 კაპიკს.
[2]) ამ საყურადღებო საკითხს დაწვრილებით შევეხები სხვა წერილში.

## ირლანდიელ მეამბოხეთა ბელადი

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში მფლობელობს ძლიერი ინგლისი პატარა ირლანდიას, მაგრამ ამით მან ვერ შესძლო თავისუფლების მოყვარული ერის სრული დამორჩილება და ირლანდიელებს არა ერთხელ გაუმართავთ ინგლისის წინააღმდეგ ამბოხებები და აჯანყებებიც კი. თვით ამ ომის დროს, უკანასკნელ თვეებში, ირლანდიელებმა ინგლისის წინააღმდეგ დიდი აჯანყება მოახდინეს. ინგლისის მთავრობა შეურიგდა მეამბოხეთ და ანიჭებს ირლანდიას ავტონომიურ მმართველობას.

გაზეთები გადმოგვცემენ, რომ წარსულ თვეში ინგლისის სასამართლოს

განუხილავს ფრიად საყურადღებო საქმე ამ ამბოხების მეთაურის სერ როჯერ დევიდ კეზმენტისა, რომელსაც სახელმწიფოს ღალატი და ამბოხების მოწყობა ბრალდებოდა. ბრალდება ამტკიცებდა, რომ ომის დაწყების შემდეგ 1914 წლის ნოემბრიდან 1916 წ. აპრილამდე კეზმენტი სახელმწიფოს გარედ ჩადიოდა სახელმწიფოებრივ ბოროტმოქმედებას და ღალატობდა მეფეს და კანონს. ამ ხნის განმავლობაში კეზმენტი ცხოვრობს გერმანიაში და გერმანიის მთავრობის ნებართვით პროპაგანდას ეწევა ირლანდიელ ჯარისკაცებში, რომელნიც გერმანიაში ტყვედ იმყოფებოდენ. კეზმენტი მათ ცალკე ბრიგადებში ჰკრებდა და ურჩევდა, რომ მათ ებრძოლათ არა ბელგიისთვის: რომელთან მათ არავითარი საქმე არ აქვთ, არამედ თავის სამშობლო ირლანდიის გასანთავისუფლებლად. ბოლოს, ამა წლის აპრილში კეზმენტი ხომალდით მიადგა თავის სამშობლოს ნაპირებს, სადაც იგი დაატუსაღეს და დაატყვევეს.

სასამართლოში ბრალმდებელი ხაზს უსვამს იმ მოვლენას, რომ ეს საშინელი ბოროტმოქმედება—სახელმწიფოს ღალატი ჩაიდინა ინგლისის აზნაურმა, რომელიც პენსიასაც კი ღებულობდა მთავრობიდანო. ამაზედ კეზმენტი უპასუხებს: პენსია დამსახურებული მქონდა და მეძლეოდა თანახმად კანონისა. რაც შეეხება აზნაურობის ხარისხს, მე ის არ მითხოვნია და არც შემეძლო მისი უარყოფაო. კეზმენტი ამბობს, რომ მას არასოდეს არ ურჩევია თანამემამულეთათვის, რომ მათ ებრძოლათ გერმანიის სასარგებლოდ. მე ყოველთვის უმტკიცებდი მათ, რომ ისინი მოვალენი არიან იბრძოლონ მხოლოდ ერთი ქვეყნისთვის--ირლანდიისთვის კეზმენტს დიდად აღელვებს ბრალმდებელის სიტყვები, ვითომც ის მოსყიდული იყოს გერმანი ს მთავრობისაგან. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რომელიც მე დავყავი გერმანიაში, ამბობს კეზმენტი, ირლანდიის საქმისთვის ფული მე მხოლოდ ირლანდიელებისაგან მიმიღია.

გერმანიაში არა ერთხელ შემოუძლევიათ ჩემთვის ფული და დიდი ფულიც და ყოველგვარ პირობების გარეშე, მაგრამ მე ის ზიზღით უკუ მიგდია. მე გერმანია დავტოვე უფრო ღარიბმა, ვიდრე იქ მისვლის დროს. კეზმენტის ჩვენების შესახებ, რომ მას გერმანიისაგან არაფერი მიუღია, ადასტურებენ მრავალი ინგლისელებიც რომელნიც იმ დროს გერმანიაში მოჰყვენ. ნაფიცმა მსაჯულებმა კეზმენტი დამნაშავედ იცნეს, ეს კი სიკვდილით სასჯელს მოასწავებს. კეზმენტს ეკითხებიან რას იტყვის ის კიდევ, სანამ მას სიკვდილით სასჯელს გამოუცხადებენ. „მე პროტესტს ვაცხადებ ამ სამართლისა და სასამართლოს წინააღმდეგ, ვინაიდან მე მრწამს მხოლოდ ირლანდიელთა სასამართლო". ამის შემდეგ ის აღნიშნავს, რომ ის გაასამართლეს კანონით, რომელთაც ხუთი საუკუნის წინეთ გამოიცა. „ცივილიზაციურ მე-XX საუკუნეში მე გამასამართლეს მე-XIV საუკუნის ტლანქი კანონით".

კეზმენტი ჰკითხულობს: „რა უფლებით მასამართლებენ ინგლისში? მე შემიპყრეს ირლანდიის ნაპირებზე. მასამართლებენ ჩემი სამშობლოს გარეშე, დამაბრუნეთ ირლანდიაში, დაე იქ გამასამართლონ ჩემმა თანამემამულეებმა, სულ ერთია ვინ იქმნებიან ისინი—ნაციონალისტები, თუ ოლსტერელები, პროტესტანტები, თუ კათოლიკები—მე დავემორჩილები იმათს განაჩენს. მაგრამ ინგლისი არ ენდობა ირლანდიელებს, ვინაიდან იცის, რომ ირლანდიაში ის დამკვიდრებულია არა უფლებით, არამედ ძალით. დამპყრობელს შეუძლიან დაიუფლოს მხოლოდ სხეული დაპყრობილი ერისა, მაგრამ ის ვერ დაიმონებს მის სულს.

„სერ როჯერ დევიდ კეზმენტო, უცხადებენ კეზმენტს განაჩენს, სასამართლომ თქვენ გიცნოთ დამნაშავედ სახელმწიფო ღალატში. თქვენ ეხმარებოდით მეფის მტრებს, გერმანელებს, როდესაც ჩვენ მას ვეომებით. მოვალეობა გვიკარნახებს მიგისაჯოთ თქვენ სიკვდილით დასჯა... დაე, უფალმა ღმერთმა შეიბრალოს თქვენი სული".

კეზმენტის დამცველმა სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა, მაგრამ უმაღლესმა სამსჯავრომ არ შეიწყნარა. განაჩენს სისრულეში მოიყვანენ უკეთუ მეფემ სასჯელი არ შეუმსუბუქა.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

აღმოსავლეთის ბრძოლის ასპარეზზე მთავარ შტაბის ცნობით ღირსშესანიშნავი არაფერი მომხდარა გარდა იმისა, რომ გენ. სახაროვის არმიამ სოფ. გალიჩანე აიღო.

კავკასიის ბრძოლის ველზე მდგომარეობა მეტად საყურადღებო შეიქმნა. იმ დროს, როდესაც რუსეთის ჯარის მარჯვენა ფრთა შეუჩერებლივ წინ მიიწევს და საცაა ერზინჯანს მიადგება, რომელიც მთავარ საკვებ ბაზას შეადგენს მთელ ოსმალეთის ჯარისათვის, თვითონ ოსმალები უფრო გაცილებით მეტის ძალებით მოსულის მხრიდან უტევენ. აქ მათ შესძლეს კიდევაც რამოდენიმედ უკან დაეწიათ რუსეთის ჯარი. რა განზრახვა აქვს მოპირდაპირეს, ჯერ-ჯერობით ძნელია ამისი გამოცნობა, თუმცა უკვე კარგად ვიცნობთ ოსმალეთის მთავარ შტაბს. მან ბევრჯელ დაისახა სხვა და სხვა ხრიკებით რუსეთის ჯარის შემოვლა, ნაგრამ ყოველთვის დამარცხებული უკანვე გაბრუნდა.

დასავლეთით გერმანელებმა ნიშანში ამოიღო ინგლისელები და გამუდმებით იერიშები მიაქვთ მათზე. მათი მიზანია ალბად ხელიდან გამოაცალოს ინგლისელებს ინიციატივა და პოზიციონური ბრძოლა დააწყებინონ.

## ომის დეპეშები

### უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

**პეტროგრადი.** 11 მკათათვე, ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. მდ. ლიპაზე მდებარე სოფ. გალიჩანედან გერმანელები გავრეკეთ; ხელთ ვიგდეთ მრავალი ტყვე და ერთი ტყვიისმფრქვეველი. 8 მკათათვეს სოფ. კოლმოვთან (მდ. ლიპაზეა) ჩვენმა ჯარმა ავსტრიელების მთელი როტა 193 კაცი ტყვედ წამოიყვანა.

**კავკასიის ასპარეზი.** კავკასიის ჯარი კვლავ წინ იწევს. მოსსულის მხრით 9 მკათათვეს მთელი დღის განმავლობაში ოსმალთა ჯარი რაიატის აღებას სცდილობდა მაგრამ ჩვენმა ჯარმა კონტრ-იერიშებით უკუ აგდო.

**პეტროგრადი.** 11 მკათათვე. ოფიციალი. დასავლეთის ასპარეზი. მთელი დღის განმავლობაში ღირსშესამჩნევი არა მომხდარა რა.

**კავკასიის ასპარეზი** ერძიჯანის გზაზე ზიარეტ-ტაპასის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა მტრის ერთი იერიში მოიგერია და აგლიკთან რამდენიმე სიმაღლე აიღო. ჩვენი ჯარი წინ იწევს. ერზინჯანის აღმოსავლეთით ჩვენ დავიჭირეთ მდ. დურუნადარასის ხაზი. მოწინავე ცხენოსანმა რაზმებმა ბოზტაპამერტელის ხაზს მიაღწიეს.

—

**პარიზი,** 9 მკათათვე, ოფიციალი. მულენ-სუ-ტუვანის მიდამოებში მდ. უაზოის და ენს შუა ფრანგების ჯარმა მტრის მოწინავე რაზმი გაჰფანტა. არგონებთან ბელანტაბი ფრანგებმა ნაღმით ააფეთქეს ბ ფილმორტის მახლობლად მტრის იერიშები მოიგერიეს. მაასის მარჯვენა ნაპირზე მოპირდაპირე ფლერის სიმაგრეებს ზარბაზნებს ესვრის; დანლუს სამხრეთით ჩვენ მტრის იერიშებს ვიგერიებთ. გუშინ ჩვენმა მფრინავთა რაზმმა სადგურ მეტც-საბლონს სამჯერ ყუმბარები დაუშინა. სულ ჩამოაგდეს 115 ყუმბარა, რომლებიც სადგურის შენობებს დაეცა და დიდი ზიანი მიაყენა. გერმანელების მფრინავი ჩვენებმა ძირს ჩამოაგდეს. ერთი ჩვენი მფრინავი აქამდის უკან არ დაბრუნებულა. დღეს დილით მტრის მფრინავმა ბელფორს ყუმბარა ესროლა; ყუმბარას არავითარი ზარალი არ მიუყენებია.

**პარიზი,** 10 მკათ. ოფიციალი. სომმის ჩრდილოეთით ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. დანარჩენ ასპარეზზე ღირს შესანიშნავი არა მომხდარა რა. ჩვენმა მფრინავებმა მოქმედება განაცხოველეს.

**ლონდონი,** დღეს პარიზიდან გილმონამდის ბრძოლა განახლდა. ბრძოლას სასტიკი ხასიათი აქვს. გერმანელები სოფ. პოზიერთან დიდს წინააღმდეგობას გვიწევენ. ჯერ ბრძოლის შედეგი გამორკვეული არ არის. დღეს დილით ჩვენმა ჯარმა ხელ-ახლად აიღო სოფ. ლონგვალი, მაგრამ მტერმა ნაწილი უკან დაიბრუნა.

**ჰავრი,** 10 მკათ. ბელგეთის მთავარ შტაბის ცნობა. ჩვენი არტილერია გეტზასის სიმაგრეებს ზარბაზანს უშენს. დანარჩენ ადგილებში დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ბრძოლა რიგის მიდამოებში

როგორც სჩანს რიგის მიდამოებში ამ ჟამად საშინელი ბრძოლაა. ოფიციალი ცნობები ამის შესახებ არაფერს ამბობენ, მაგრამ გაზეთების კერძო ცნობების თანახმად, რიგასთან დიდმნიშვნელოვანი ბრძოლა დაწყებულა. თვით ქ. რიგა და მისი არე-მარე ზარბაზნის სროლისაგან ზანზარებს და ჰაერში მტრის მრავალი მფრინავი დათარეშობს. ამ რამდენიმე დღის წინედ რიგას გერმანელების „ცეპელინი"-ც კი სწვევია, რომელსაც რამდენიმე ყუმბარა უსროლია ქალაქისთვის.

### ფელდმარშალი ჰინდენბურგი

გერმანეთიდან ცნობა მოვიდა, რომ გერმანელების სარდალი ფელდმარშალი ჰინდენბურგი აღმოსავლეთ ასპარეზზე მომქმედ ავსტრიელთა და გერმანელთა ყველა ჯარების მთავარსარდლად დაუნიშნავთ. ამის გამო იმპერატორ ვილჰელმს პირადად უნახავს ჰინდენბურგი და მასთან დიდს ხანს უსაუბრია. შესაძლებელია ამ მოკლე ხანში რუსეთის ასპარეზზე გერმანელებმა თავისი მოქმედების გეგმა შესცვალონ.

### გერმანეთის მუქარა

გერმანეთის გაზეთები ნეიტრალურ სახელმწიფოებს ემუქრებიან, რომ თუ ვინიცობაა მათ გერმანეთის წინააღმდეგ მტრული განწყობილება დაამყარეს, გერმანეთი იძულებული იქნება წყალ-ქვეშა ომი განაახლოს და ნეიტრალურ სახელმწიფოთა გემებს ზღვაზე სიარული გაუძნელოსო.

### გერმანელები ვერდენთან

ვერდენის მიდამოებში განუწყვეტელი წვიმა და ქარია. ეს ძალიან ხელს უშლის გერმანელების მოქმედებას. ვერდენთან, მეტადრე ვევრის გარშემო საშინელი ჰაობებია, რომლის გავლა და არტილერიის გადატანა მეტად ძნელ საქმეს წარმოადგენს. მიუხედავად ამ მძიმე პირობებისა გერმანელები კვლავინდებურ ენერგიით განაგრძობენ ვერდენის სიმაგრეების იერიშებს: თავს უყრიან აუარებელ ჯარს, მოაქვთ ახალი ზარბაზნები და ბრძოლის დროს არავითარ მსხვერპლს არ ერიდებიან.

### მთავარ-სარდლების გადაყენება

კავკასიის ასპარეზზე მომქმედ ოსმალთა ჯარის მთავარ სარდალი მთავრობის განკარგულებით თანამდებობიდან გადაუყენებიათ და სასამართლოში მიუციათ. ამის მიზეზს გაზეთები ჯერ არ იხსენიებენ.

გერმანეთის ჯარის მთავარ შტაბის განკარგულებით თანამდებობიდან გადაუყენებიათ აგრეთვე გერმანელების ჯარის სარდლები: გენ. პფლანცერი, ბემ-ერმოლლი და ლინცინგენი. მათ მაგიერ დაუნიშნავთ ბოროევიჩი, კეველში და მაკენზენი.

### ვილჰელმის სიტყვა.

იმპერატორ ვილჰელმს სამხედრო პასტორებისათვის სიტყვით მიუმართავს. სიტყვაში იმპერატორს სხვათა შორის უთქვამს, რომ თანამედროვე ომი გერმანელთა უკმაყოფილებას მთავრობისადმი მოსპობს და ისინი, ვინც ეხლა თხრილებში სხედან სახლში დაბრუნებისას მთავრობას სრულს ნდობას გამოუცხადებენო.

### გერმანელები დიდი ბრძოლისათვის ემზადებიან.

გერმანეთის ჯარის მთავარ შტაბის განცხადებით, გერმანელები ამ მოკლე ხანში რიგისა და დვინის ასპარეზზე დიდი ბრძოლის დაწყებას აპირებენ. ბრძოლის გეგმის შედგენა და ხელმძღვანელობა გენ. ჰინდენბურგს აქვს მინდობილი.

### ვარშავაში დარჩენილი რუსეთის ქვეშევრდომთა ბედი.

ვარშავის გენერალ-გუბერნატორს ნება დაურთავს რუსეთში დაბრუნების უფლება მიეცეთ რუსეთის იმ ქვეშევრდომთ, რომელთაც რუსეთში ცოლშვილი და ნათესავები დარჩათ. დაბრუნების უფლება ეძლევათ მამაკაცებს 50 წელზე უმფროსებს, ბავშვებს 7 წელზე უნცროსებს და 17 წლის ქალებს.

### გერმანელთა ახალი საშუალება.

იმპერატორ ვილჰელმის ბრძანებით მომქმედ ჯარში მყოფი პროფესორი და უმფროს კურსის სტუდენტები დროებით სამხედროდან გაუნთავისუფლებიათ. სამაგიეროდ მათ დავალებული აქვთ ლაბორატორიებში მუშაობა განაახლონ და ყოველი ღონისძიება მიიღონ, რათა ის ლითონები და სხვა საჭირო საომარი მასალა, რომელიც გერმანეთს საზღვარ-გარეთიდან შემოჰქონდა, თვით გერმანეთში იქმნას დამუშავებული. ეს ლითონები გერმანეთში არ მოიპოვება და ამიტომ მათ ჰსურთ ისინი ხელოვნურად შექმნან.

### ფრანგი მფრინავის მარცხი.

გერმანული გაზეთები იტყობინებიან, რომ ერთ ფრანგ მფრინავს ამას წინად ქალაქ ნანსიდან (საფრანგეთიდან) რუსეთის ასპარეზზე გადაფრენა მოუნდომებია. 1200 კილომეტრის გადაფრენის შემდეგ იგი ძირს დაშვებულა, რადგან ჰგონებია რომ რუსეთის მიწა-წყალს მიახწია. ნამდვილად კი იგი გერმანელთა მიდამოებში დაშვებულა. აქ კი გერმანელებს დაუტუსაღებიათ.

### შვეიცარია და გერმანეთი.

ამ რამდენიმე ხნის წინედ ინგლისის მთავრობის ნებართვით შვეიცარიის საჭიროებისათვის ინგლისიდან გატანილ იქმნა 1.200,000 კილოგრამი სოი. (ერთგვარი ბრინჯის მაგვარი მარცვალია) როგორც ეხლა გამოირკვა ეს საქონელი შვეიცარიიდან გერმანეთს გაუტანია.

### რუმინეთის მდგომარეობა.

რუმინეთში მდგომარეობა თანდათან მწვავდება. გაზეთები და დეპეშები ერთი მეორის საწინააღმდეგო ცნობებს გვაწვდიან. დანამდვილებით ვერ გამოირკვა, ვის მიემხრობა რუმინეთი. ერთი კი ყველასათვის ცხადია, რომ ამ მოკლე ხანში რუმინელებიც საერთაშორისო ომში ჩაერევიან. ავსტრიელები, გერმანელები საჩქაროდ ამაგრებენ რუმინეთთან მოსაზღვრე ადგილებს და დიდძალ ჯარს უყრიან თავს რუმინეთის საზღვრებთან. ასევე იქცევა ბულგარეთიც.

რუმინეთის ელჩი, რომელიც ბულგარეთში მიემგზავრებოდა მთავრობამ უკან დააბრუნა.

ბულგარელებმა რუმინეთის საზღვარი ხელ-ახლა შეჰკრეს.

### არეულობა საბერძნეთში.

საბერძნეთში ქ. პრევეზში ვენიზელოსის მოწინააღმდეგეთ დიდი არეულობა მოუხდენიათ: ვენიზელოსის მომხრეთა სახლებში ფანჯრები დაულეწავთ, მაღაზიები აუკლიათ და ქუჩებში მათთვის სროლა აუტეხიათ.

### იტალეთის და გერმანეთის ურთიერთობა.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ ბოლო დროს გერმანელებმა გერმანეთში მყოფ იტალეთის ქვეშევრდომები მეტის მეტად შეაწუხეს და მათს წინააღმდეგ სხვა და სხვა სასტიკი ზომები მიიღეს. ამ ამბავმა იტალიელები მეტად ააშფოთა და სამაგიეროდ თავის მხრივ იტალეთში მყოფ გერმანელების წინააღმდეგ შესაფერი ზომები მიიღეს. საქმე მეტად გართულდა და როგორც გაზეთები გადმოგვცემენ იტალეთი გერმანეთს ომის გამოცხადებას უპირებს.

## ჯარში გაწვევის გადადება

**ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესის ბრძანებით პირველ და მეორე ხარისხის მოლაშქრეთა (რატნიკების) გაწვევა, რომელიც 15 მკათათვეს უნდა მომხდარიყო, ერთის თვით, ე. ი. 15 მარიამობისთვემდე გადაიდო.**

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან)

**რუსეთის ასპარეზზე.** მდ. ლიპის ნაპირზე მდებარე სოფ. გალიჩანედან რუსებმა გერმანელები გარეკეს. სოფ. კოლმოვთან მათ ტყვედ ჩაუვარდათ ხელში ავსტრიელების მთელი როტა.

—

**კავკასიის ასპარეზზე.** მოსულის მხრით რაიატას მიდამოებში ოსმალებმა ძლიერი იერიშები განაახლეს. ჩვენმა ჯარმა მათი წინსვლა შეაჩერა.

—

**საფრანგეთის ასპარეზზე.** ფრანგების მფრინავთა რაზმმა გერმანელთა სიმაგრეებს 117 ყუმბარა ესროლა და დიდი ზარალი მიაყენა.

—

**ინგლისის ასპარეზზე.** პოზიერის და გილმონის ხაზზე დიდი ბრძოლა არ შეწყვეტილა. ინგლისელებმა სოფ. ლონგვალი აიღეს, მაგრამ გერმანელებმა კონტრ-იერიშების მეოხებით ნაწილი უკან დაიბრუნეს.

—

**ბელგეთის ასპარეზზე საარტილერიო ბრძოლაა.**

**გაზ. „საქართველო", როგორც თბილისში, ისე ყველა დაბა-ქალაქებში ღირს ისევ 5 კაპ.**

## ახალი ამბავი

**უფასო საპედაგოგიო კურსები.** თბ. მეორე პირველ დაწყებით სასწავლებელში (სტრელკოვის ქ. № 4) 16 მარიამობისთვიდან არსდება უფასო საპედაგოგიო ორ წლიანი კურსები. კურსები 20 კაცზეა განზრახული ორთავ სქესისა. მსმენელთ ფულად 100 მანეთი მიეცემათ დახმარება, კურსებზე მიიღებიან 4 კლასის მოწმობის მქონენი, საშუალო სასწავლებლებისა და პირველ დაწყებით უმაღლეს სკოლებისა.

**მნათის არჩევა.** ქართველ მეფეთა წმ. გიორგის კარისად ყოფილ ეკლესიის მნათედ კვირას 10 ივლისს მრევლმა აირჩია ისევ ძველი მნათე ივ. ო. იოსელიანი.

**დადგენილების დამტკიცება.** 11 მკათათვეს ქალაქის მოურავმა წარუდგინა ბ-ნ თბილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად საბჭოს დადგენილება შესახებ ჯამაგირების მომატებისა ტრამვაისა და ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთათვის.

**ქალაქის გამგეობას აზრად აქვს** სოფლის მწარმოებლებათ (მებოსტნეები და მებაღეები) მოიზიდოს თავიანთ ნაწარმოების ჩამოსატანად თბილისში. დღეს სოფლის ნაწარმოების გასაღება მხოლოდ ჩარჩების ხელშია და ისინი ათამაშებენ საქონლის ფასებს: ისე ჰყიდულობენ და როგორც უნდათ ისე ჰყიდიან. გამგეობამ თუ მოახერხა მწარმოებელთა მოზიდვა, ის გარკვეულ გადაჭრილ ფასებს დააწესებს, სოფლის ყოველგვარ ნაწარმოებზე, ასე რომ სოფლელები პირდაპირ ქალაქის საწყობებში მიიტანენ თავიანთ საქონელს და უვაჭროდ და დროს დაუკარგავად ხელად მიიღებენ ხვედრ ფულს.

**ტრამვაის კასა.** ქალაქის ტრამვაის შემოსავალი ყოფილა მაისის განმავლობაში 333,211 მან. 41 კაპ., დახარჯულა იმავე თვეში 321,906 მან. 29 კაპ., დარჩენილა წმინდა 11,305 მან. 12 კაპ.

**კრება.** თბ. მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდის გამგეობა აცხადებს თავის წევრების საყურადღებოდ, რომ დღეს 13 მკათათვეს ნიკოლოზის ეკლესიის სკოლაში საღამოს 7 საათზე დანიშნულია გუნდის წევრთა არა-ჩვეულებრივი კრება.

**ამინდის შეცვლა.** გუშინ, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათზე, თბილისში კოკისპირული წვიმა მოვიდა, ბევრს ქუჩებში ნიაღვრისაგან მთელი მდინარეები შედგა. ზოგან ნიაღვრებმა ტრამვაის ლიანდაგი მოლექა და ვაგონების მოძრაობა შეჩერდა რამდენიმე წუთით. 2 საათზე წვიმა გადაიღო და ისევ გამოანათა ბრწყინვალე მზემ. ქალაქი გასუფთავდა და შესამჩნევად აგრილდა.

**სეტყვას ახალ-ქალაქის მაზრაში** 1002 დესეტინა ნათესობა წაუხდენია. ზარალი 97,740 მანეთს უდრის.

**სახადით ავადგახდა** მეორეთ ნავთლუღის საავამყოფოში ჯარის კაცთა მოვლის დროს წმ. ბარბარის ეკლესიის წინამძღვარი მღ. ი. ჩიჯავაძე. ამ ჟამად იგი უკეთ გრძნობს თავს.

**მევენახეობის და მეღვინეობის** კომიტეტში წევრად ქალაქის გამგეობის მხრივ არჩეულ იქმნენ გ. დ. ჟურული, მ. ი. სვეშნიკოვი, გ. გ. მადინოვი, ს. თ. ჭრელაშვილი და ა. ა. ენფიანჯიანცი.

**სახალხო სახლში ქართულ დრამატიულ საზოგადოების მხრივ** იმ კომიტეტის წევრად, რომელიც სახალხო სახლს განაგებს დანიშნულ იქმნა გ. გ. ლასხიშვილი.

**პეტროგრადის ქართველ საზოგადოების** მდივანი თ-დი გ. ვ. მაჩაბელი რომელიც დანიშნულ იყო ქართულ საქვ.-მოქმედო საზოგადოების საჭიროებასთან გასაცნობათ უკვე დაამთავრა თვისი საქმეები და ამ დღეებში მიემგზავრება პეტროგრადს. თ-დი მაჩაბელი 5000 მანეთს შუამდგომლობს საზოგადოებისათვის.

**კუმურდოს დიდებული ნაშთი.** ამ დღეებში ჯავახეთში დაუთვალიერებია კუმურდოს დიდებული ტაძრის ქ. შ. წ.-კ. გამ. საზ. წარმომადგენელს და ეს დიდებული საისტორიო ნაშთი მეტად უნუგეშო მდგომარეობაში უნახავს. წერა კითხვის წარმომადგენელი ცალკე მოხსენებით შედის ქართულ საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობასთან და სთხოვს, რომ თუ ამ ტაძრის გადარჩენა არ შეიძლება ბუნების სასტიკ პირობებისაგან ის მაინც იღონეთ რომ ტაძრის ჩუქურთმები წარწერებით, დაიცვათ.

**თბილისის რედაქციის წარმომადგენელთა კრება.** 11 მკათათვეს, „კავკ. სლოვის" რედაქტორის ი. ფ. სიმიონოვის თავმჯდომარეობით მოხდა კრება თბილისის რუსულ და ადგილობრივ ყველა პერიოდულ გამოცემათა წარმომადგენლებისა. კრებამ შეიმუშავა შუამდგომლობა, რომელიც უნდა მიერთოს მეფის ნაცვლის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწეს გენ.-ლ. თ-დ ორლოვს სტამბის ასოთამწყობთა და რედაქციის თანამშრომელთა განთავისუფლების შესახებ, ვინაიდან ისინი დახმარებას უწევენ მხედრობას. ამ შუამდგომლობის მისართმევად არჩეულ იქმნა საგანგებო დეპუტაცია. დეპუტაციაში მოჰყვნენ ი. მ. დოლუხანოვი, დ. მ. დუმბაძე და ა. ი. ფრანჩესკა.

**ხეხილების საწამლო კურსები.** მეხილეობის საზოგადოებას გადაწყვეტილი აქვს 2—12 მარიამობისთვემდე ქალ. გორში მოაწყოს ხეხილისა და ვაზის წამლობის უსასყიდლო კურსები. კურსებზე სიარული ყველა მსურველს შეუძლიან. ადგილი თუ არ დარჩა, უპირატესობა მიეცემა ბაღის პატრონთ, ინსტრუქტორებს და გორის მაზრის მასწავლებლებს. კურსებზე ჩასაწერად მსურველებმა უნდა მიმართონ თბილისში (სერგიევის ქუჩა, 9) ინსტრუქტორს ბ. ბაგრამოვს და ი. კუშჯეს; გორში—კ. აფრიკიანს, ცხინვალში—ინსტრუქტორს შემიოტს. კურსებზე ლექციების კითხვა რუსულად იქნება.

**ტყავების რეკვიზიცია.** როგორც წინად გვქონდა მოხსენებული, სამხედრო მთავრობამ ჩამოართვა ქალაქის ლომბარდს კერძო ვაჭრებისაგან დაგირავებული ტყავები. ამ ტყავეულობაში ლომბარდს გაცემული აქვს 6.000 მანეთამდე. 11 ამა თვეს, გამგეობის წინადადებით, ქალაქის საბჭომ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას მთავრობის წინაშე, რომ წაღებულ ტყავების ფასად იმაზე ნაკლებ ფულს ნუ მისცემს ლომბარდს, რამდენიც თვითო ლომბარდს მიუცია ტყავების პატრონთათვის.

**ჯარისკაცთა ოჯახების აღწერა.** თანახმად გუბერნატორის წინადადებისა, 11 მკათათვეს ქალაქის საბჭომ დაადგინა შეუდგეს ჯარისკაცთა ოჯახების აღწერას, რაიცა საჭირო არის იმისთვის, რომ დაწვრილებით გამოირკვეს, რომელ ოჯახს რამდენი დახმარება ესაჭიროებათ ფულად მთავრობის მხრივ არსებულ კანონის მიხედვით. აღწერისათვის ჯერ-ჯერობით გადაიდვა 3.000 მანეთი.

**წყალსადენის დროებითი ხარჯი.** 11 მკათათვეს ქალაქის საბჭომ შეიწყნარა გამგეობისა და ტეხნიკურ კომისიის დადგენილება შესახებ იმისა, რომ ეხლა გადაიდვას 30.000 მანეთი წყალსადენის ძველი მანქანების შესაკეთებლად და ერთი ქვაბის შესაძენად, რათა ქალაქს კიდევ უფრო არ მოაკლდეს წყალი.

**საგარეჯოს მომხმარებელ საზოგადოებას** 1 ვაგონი ფქვილი დაუთმო ქალაქის გამგეობამ სოფლის საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

**წვანილი და ხილი.** ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო საქმეთა ინსპექტორი მოხსენებას წარუდგენს ქალაქის გამგეობის შესახებ იმისა, რომ ქალაქმა თვითვე მოაწყოს წვანილისა და ხილის ვაჭრობა თბილისის 8 უბანში. საწყობები ჯერ-ჯერობით გაიმართება ვერის მოედანზე. აქ თუ საქმე რიგიანად მოეწყო, შემდეგ საწყობები გაიმართება ავლაბრის მოედანზე, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე და სხ.

**ბინების ქირის მომწესრიგებელ კომისიებისათვის,** კანცელარიების ხარჯად და მიმოსვლაზე გაწეულ ხარჯების დასაფარავად ქალაქის საბჭომ გადასდვა 2.000 მანეთი.

**ჰირნახულის ნიშნები.** როგორც ჩამოსულებმა გვიამბეს, ახალციხის მაზრაში ჰირნახულის მოსავალი შუათანაზე დიდი იყო. აგრეთვე გურიაშიდაც კარგი პირი უჩანს მოსავალს. განსაკუთრებით კარგი პირი უჩანს ყურძნის („ადესა") მოსავალს.

**დასასვენებლად წასვლა.** 20 მკათათვეს ქალაქის მოურავი დასასვენებლად მიდის თბილისიდან და 20 მარიამობისთვემდე არ დაბრუნდება.

**გადამდები სნეულებანი.** გუშინ, 12 მკათათვეს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ყვავილიანი 3, მუცლათი 2, ქუნთრუშიანი 43, ხუნაგიანი 9, სახადიანი 61, საოფლიანი 177, მენინგიტიანი 1 და გამოურკვეველი სენით 1 კაცი.

**სასწავლ-მოქმ. საზოგადოების** გამგეობამ დეპეშით მოსთხოვა ახალქალაქის ფილიალურ განყოფილებას აცნობოს რომელ სოფელში გადაწყდა ახლად სკოლის დაარსება, თუ სოფ. შოკში გადაწყდა საჭიროა თუ არა ხარჯთ-აღრიცხვის გამოგზავნა.

✦ **დაბრუნდა ბორჯომიდან** თბილისში საქართველოს ეგზარხოსი პლატონი.

**გაემგზავრა** ქობულეთში ბრალდებული სასინოდო კონტორისა ბ-ნი პაპოვი. მის მოადგილეობას შეუდგა ა. ა. დავითაშვილი.

✦ **ხოლერა გორში.** ქართ. საქვ. საზოგადოების გორის განყოფილებამ აცნობა მთავარ განყოფილებას რომ გორში ხოლერამ იჩინა თავი. ორი ადამიანი უკვე გარდაიცვალა და რამდენიმე სიკვდილის პირზეა. გადავწყვიტეთ ღარიბ მცხოვრებთა უბნებში საჩაიე გავხსნათ. გთხოვთ დაგვეხმაროთ ერთდროულად და შემდეგ რეგულიარულად. გორში შაქარი არაა. გვიშუამდგომლეთ ბ-ნ შაშკოვსკის და ქალაქის გამგეობის წინაშე. შეგვატყობინეს, რომ კარალეთშიაც იყო შემთხვევა ხოლერისა.

ამ ჟამად გამოირკვა რომ გორში გადაცვლილ ეკ. მირიანაშვილს ხოლერის ნიშნები აღმოაჩნდა. ამის გამო საგანგებო თათბირია მოწვეული ყველა სასანიტარო ექიმებისა, სწრაფლ ზომების მისაღებად.

✦ **შემწეობა საეკლესიო კრებულებს.** მინისტრთა საბჭომ გაიღო ათი მილიონი მანეთი იმ ეპარქიათა შორის გასანაწილებლათ, რომელთა კრებულები საჭიროებენ ქონებრივ შემწეობას.

✦ **მეხილეთა კავკ.** განყოფილება ჰგზავნის კახეთში თავის ინსტრუქტორს ბ. ბ. ბაგრამოვს სამკურნალო მცენარეულობის გახმობის საქმის საორგანიზაციოდ.

**დ. სურამი.**

გადაწყვეტილია დაარსდეს საამხ. საფსიჰიატრო საავადმყოფო.

— კვირას, მკათათვის 10-ს სურამს ესტუმრა დასათვალიერებლად ქუთაისის ქართ. სათ.-აზნ. გიმნაზიის მერვე კლასის შეგირდთა ექსკურსია.

— ადგილობრივ საზოგადო საკრებულოს 44 წევრი ჰყავს, აქედგან 33 წევრი ქართველები არიან, მაგრამ მიუხედავად ამისა საკრებულოს სამკითხველოში ვერც ერთ ქართულ გაზეთს ვერ შეხვდებით, სამაგიეროდ „თბილ. ლისტოკი“, „ნოვ. ვრემია“ და მრავალი რუსული ჟურნალ-გაზეთები.

— პურის ყანები გაიჭრა. სიმინდს კი ცუდი ამინდი დაუდგა. კარგა ხანია წვიმა არ მოსულა. გვალვამ გადაახმო აქაურობა.

— მოაგარაკენი კიდევ დიდძალი მოდიან. სახლები თითქმის საშოვარიც აღარ არის.

## ქართული საეკლესიო ბეჭდის ბედი

ამასწინად „საქართველოში“ ამოვიკითხეთ, რომ ქართულ საეკლესიო ბეჭდებზე ქართული წარწერა ისპობაო, ნაცვლად ქართულისა უნდა შემოიღონ სლავიანური წარწერა. ამ ამბავს თავისი ისტორია ჰქონია.

აი რაშია საქმე: ფოშტა-ტელეგრაფის გამგეობას აღუძრავს სინოდში 1912 წ. საკითხი, ქართულის ბეჭდებით დაბეჭდილი პაკეტები მოდის ფოჩტებში, ბევრმა მოხელეთაგანმა არ იცის ქართულის კითხვა, კანონის ძალით უსათუოდ რუსული ბეჭდით უნდა იყოს დაბეჭდილი პაკეტები, ამიტომ ფოჩტა-ტელეგრაფის უწყება თხოულობს, მოისპოს ასეთი ბეჭდების ხმარება. სინოდმა ხელი მოჰკიდა ამ ამბავსა, ამოსთხარა არხივიდამ 1836 წლის დაბეგებული კანონი, რომლის ძალითაც ხმარებაში უნდა იყოს უსათუოდ საეკლესიო ბეჭედი სლავიანურის წარწერით, ამის გამო სინოდმა სრულიად საქართველოს სასინოდო კანტორას 1912 წ. ინოკენტის ექსარხოსობის დროს მისცა ბრძანება, წარუდგინოს თვისი მოსაზრებანი აღძრული საკითხის გამო და მოახსენოს, რა საშუალება უნდა იქმნას მიღებული ქართული ბეჭედის გაუქმებისათვის. სასინოდო კანტორა საგონებელში ჩავარდა. დაადგინა იმავე წელში, ჯერ-ჯერობით დროებით იყვეს ხმარებაში ქართული საეკლესიო ბეჭდები და ნელ-ნელა, თანდათანობით, შეიცვალოს რუსულზე. ამის შესახებ ბძანებანი (უქაზები) გაეგზავნება ექსარხოსს პიტირიმისაგან 1913 წ. ნოემბერში საექსარხოსოს, ეპისკოპოსებს და ქართლ-კახეთის კეთილმოწესეთა. ეს დადგენილება რასაკვირველია, ეცნობა სინოდსაც და ფოშტის უწყებასაც. ფოშტის უწყებამ მოსწერა 1914 წელს, რა ვადაზე იქნება შემოღებული რუსული ბეჭდები საქართველოს ეკლესიებისათვისო. სასინოდო კანტორა დაფაცურებულა, ექსარხოსს პიტირიმს დიდი ერთგულება აღმოუჩენია ფოსტის უწყებისათვის, დაუდგენინებია,—ვამბობ **დაუდგენინებია** იმიტომ, რომ ექსარხოსის თავმჯდომარეობით სწყდება კანტორის კრებაზე ყველა საკითხები,—რომ 1916 წლის ბოლომდე უსათუოდ შეიცვალოს ქართული ბეჭდები რუსულით, ხოლო 1917 წლიდან უსათუოდ ყველა საქართველოს ეკლესიებში რუსული ბეჭდები უნდა ხმარებაში შევიდესო.

მოწერილობა დაეგზავნა ქართლ-კახეთის კეთილ-მოწესებას და საეგზარხოსოს ეპისკოპოსებს, მოხსენდა სინოდსაც. სინოდმა დაადასტურა ეს დადგენილება და აცნობა ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ გამგეობას, რომ მომავალი 1917 წ. მოისპობა ქართული საეკლესიო ბეჭდებიო. ტფილისის ოლქის ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობა, რომელმაც თავდაპირველად აღძრა ქართულ საეკლესიო ბეჭდების მოსპობის საკითხი, ეხლა მოისვენებს, ტკბილს ძილს მიეცემა, რომ ერთი დიდი საქმე გაუკეთა რუსეთის სახელმწიფოსა—**ბეჭდების გარუსება.** აქ საკვირველი ის არის, როგორ ინება ექსარხოსმა პიტირიმმა და ეს საკითხი გაატარა როგორც კანტორაში, ისე სინოდში ქართული ეკლესიის სავნებლად. თუ კი სომხებს და მუსულმანებს აქვთ თავიანთი ბეჭდები, საქართველოს ეკლესიამ რა დააშავა, „ვის რა ვირი მოჰპარა?“ ვიმეორებ, საკვირველია მიტროპოლიტ პიტირიმისაგან ქართული ბეჭდების გარუსება, იმ პიტირიმისაგან, რომელიც გარეგნობით დიდი პატივისმცემელი იყო ქართველობისა, რომელმაც მოჰხიბლა წყნარი ქცევით ჩვენი თავადაზნაურობა, ზოგიერთი ინტელიგენტთაგანიც. თურმე ადვილია ჩვენი მოხიბვლა, ჩვენი, რომელნიც ხშირად თეთრს კბილს ვამჩნევთ მხოლოდ და გულიც თეთრი გვგონია.

ყოვლადუსამღვდელოესს პლატონს, აწინდელს საქართველოს ექსარხოსს, პეტროგრადიდან ჩამოსვლისას, უკითხავს, რის გამო აღიძრა საკითხი ქართული ბეჭდების მოსპობის შესახებო, გაზეთებში გაისმა ასეთი ხმაო. როცა მას მოახსენეს საქმის გარემოება, გაოცდა, დაუჯერებელ ამბად მიიჩნია ასეთი ამბავი, რასაკვირველია, ყველა კეთილგონიერს და ჭკუათამყოფელს ადამიანს გააკვირვებს ეს ამბავი. აგერ მეორე საუკუნე დაიწყო, რაც საქართველო ნებით შეუერთდა რუსეთსა, დღემდე არ აღძრულა საკითხი ქართული საეკლესიო ბეჭდების მოსპობისა, რა ვნება მოაქვს სახელმწიფოსათვის, ანუ რა ვნება უნდა მოუტანოს ვისმეს ან რასმეს ბეჭედმა, არაფერი, მაგრამ ჩვენს ეკლესიას 1 ჟანგიანი ლურსმანი კვლავ დაურჭეს გულში, რომ სიცოცხლე მოუწამლონ. აწინდელი ექსარხოსი საქმის კაცია, პირდაპირი, მართლმსაჯული, ეს საკმაოდ დაამტკიცა მან. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მისი მეუფება საქმეს შეაბრუნებს და ქართველ საზოგადოებას არ მიეცემა მიზეზი სულისა და გულის ღელვისა და აღშფოთებისა. ქართველი საზოგადოება სულ სხვა რამეს მოელოდინეა, აწინდელ დრო-ჟამის მიხედვით იგი ბევრს საკეთილო ცვლილებას ელის, როგორც საერო ისე საეკლესიო ცხოვრებაში და ამისთანა ძარღვებ დაჭიმულ დროში ვიღაც უგვანო ბიუროკრატები საეკლესიო ბეჭდების გარუსებას ცდილობენ. ეს არ მოხდება... სამღვდელოებამ უნდა ხმა ამოიღოს, მისს ხმას პატივით მოეპყრობა ექსარხოსი პლატონი და დადასტურებული აქ მეუფე პიტირიმისაგან და აქ, პეტროგრადში, სინოდისაგან **ბეჭდების გაუქმება** უარყოფილ იქმნება.

**ს. მგ—ი.**

## თურქების პრესა

გაზეთი „აჩიკ სოზი“ ეხება სპარსეთის პოლიტიკურ მდგომარეობას და სწერს:

„თურქების დიდძალი ჯარის კვლავ ქერმანშაჰზე გამოლაშქრებამ, ზოგიერთ გაზეთს სალაპარაკო მასალა მისცა.

საავგენტოს დეპეშების ცნობით, სპარსეთის მთავრობა ამ გამოლაშქრებას მტრულის თვალით შეხვდა.

როგორც ამ ამბებიდან სჩანს, სპარსეთის მთავრობის სათავეში მდგარს სეფეხდარს, სპარსეთის მთელი დასავლეთ მხარისათვის დეპეშები დაუგზავნია,—თურქების ეხლანდელი მოქმედება სპარსეთის წინააღმდეგ არის მიმართულიო. აგრეთვე სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ექ-მერ-მირზასაც თეირანში ოსმალეთის წარმომადგენელი შექქეთ-ბეგი დაუბარებია და გაუფრთხილებია: თუ ოსმალები ქერმანშაჰიდან ცოტას კიდევ წამოიწევენ, სპარსეთის მთავრობა ოსმალებთან ყოველგვარ დამოკიდებულებას შესწყვეტსო.

მაგრამ ამავე დროს, როდესაც ოსმალები სპარსეთის ადგილებს იპყრობენ, სპარსეთის მოხელეები რუსის ჯართან ერთად უკან იხევენ და ეს კი იმის მომასწავებელია, რომ სპარსეთი ოსმალეთის უკმაყოფილოა.

ეჭვი არაა, საფეხდარის მთავრობა და გარეშე საქმეთა ვეზირი, რაკი რუსებისა და ინგლისელების ჭეშმარიტი მომხრენი არიან, თურქებისა და გერმანელების სპარსეთზე ხელმეორედ გამოლაშქრებას გულწრფელად ვერ შეხვდებიან.

ჩვენ ვიცით, რომ სპარსეთის მიწაწყალი, სანამ თურქ-გერმანელების პრაპაგანდისტების გავლენიდან განთავისუფლდებოდა თურქების მომხრე საზოგადოებრივი და სასულიერო კლასებით იყო სავსე.

რადგანაც სპარსეთის მთავრობის გავლენით შაჰმა თეირანი არ მიატოვა, იმედ დაკარგულმა რევოლიუციონერებმა ყუმში „ერის დამცველი“ კომიტეტი დააარსეს და თითქმის მთელი სპარსეთის მართვა-გამგეობა დაიწყეს.

ამ კომიტეტის სახელობაზე სპარსეთის ყოველ მხრიდან ველისა და ხევის ბეგებისა აუარებელი დეპეშა მოდიოდა, სადაც იუწყებოდენ ვიბრძოლოთ სამშობლოს საკეთილდღეოთო.

ჯერ კიდევ ქერმანშაჰის დაჭერამდე რუსის ჯარის მიერ, სპარსეთის რევოლიუციონერებმა თეირანში დამკვიდრებული და თავის ადგილიდან დაუძვრელი სპარსეთის მთავრობა, სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადეს და მის მაგიერ დროებითი მთავრობა აირჩიეს. ამ ახალ მთავრობას სათავეში ნიზამ უსალტანა ჩააყენეს, სპარსეთის სახელმწიფო კაცთ შორის ყველაზედ უფრო გამოჩენილი.

კაბინეთის წევრებად აირჩიეს ნამდვილი დემოკრატები და ხალხის ერთგული რწმუნებული პირები: სულეიმანმირზაები, სულეიმან-ხანები და ვეჰიგულ-მულქებეითა, რომ თავი დაეხწიათ გენერალ ბარათოვის შემოტევისაგან, დროებითი მთავრობა და სპარსეთის თავისუფალნი მეომრები, ბაღდადში გადვიდა. ოსმალეთის გარდა სხვა თავშესაფარი მათ არა ჰქონდათ.

დღეს ქერმანშაჰის მიტოვების შემდეგ სპარსეთში ჩამოსული სპარსეთის ნაართველის პირით, პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს ქერმანშაჰიდან გაქცეული დროებითი მთავრობა კვლავ უკან გაბრუნდაო. მაგრამ ამ ცნობების სიმართლე ზემოხსენებულ მმართველს დაწვრილებით არა აქვს გამორკვეული.

ადვილად შეიძლება რომ სპარსეთის რევოლიუციონერი სიზამუს ალტანას მეთაურობით იმ ჯართან ერთად მოდიოდენ, რომელიც ეხლა სპარსეთზე ილაშქრებს. სპარსეთის ნამდვილი მთავრობის მომხრეებმა კარგად იციან რომ ისინი დაუსჯელნი არ გადაურჩებიან სპარსეთის დროებით მთავრობას. და ამიტომაც დღეს მათი პროტესტები და გულისწყრომანი ბუნებრივი და გასაგებია. ასეთ პირობებში მთავრობა და მისი მოხელე-მომხრენი იძულებულნი ხდებიან გამოიქცენ იმ ადგილებიდან, რომელსაც თურქები იპყრობენ, ან დაუპყრიათ კიდეც, რადგანაც ერთს ადგილზე, ერთსა და იმავე დროს ორი სხვა და სხვა მთავრობას მართვა-გამგეობა შეუძლებელია.

თურთქებმა ორთა ხევშუა სამოქმედო ასპარეზს დიდი მნიშვნელობა მისცეს და იქ დიდ-ძალ ჯარს თავი მოუყარეს და აღმოსავლეთისაკენ წამოიწიეს. რუსეთის ჯარმა დასტოვა ცუდი ადგილმდებარეობა, სადაც საშინელი სიცხე იდგა და გრილ მთიან და ხელსაყრელ ადგილებში დაბანაკდა. თურქებმა ამით ისარგებლეს და ქერმანშაჰამდინ წამოიწიეს.

მტრის ეს დროებითი გამარჯვება სპარსეთის პოლიტიკოსებს, სიფიჰდარსავით სახელმწიფო პირებს, თუმცა იმედს არ აკარგვინებს მოკავშირეების გამარჯვებაზე, მაგრამ მდაბიო ხალხზე გავლენის მოხდენის მხრივ მაინც უმნიშვნელოდ არა რჩება. მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ გერმანიის პროპაგანდისტები და მათი მომხრე ბახტიარები კვლავ ასპარეზზე გამოსულან და ეხლა ისპაჰანის მახლობლად ქეჰურის გვართა შორის მუშაობენ. სახელგანთქმული შეიხი ნურულლაჰი და დოკტორი ბოჟენიც ხელახლავ გამოჩენილან და კვლავ პრაპაგანდობა დაუწყიათ.

# გაზ. „საქართველო“-ს კანტორა ამით აუწყებს ხელის მომწერთ, ვინც 25 მკათათვემდე ფულს არ შემოიტანს. გაზეთი მოესპობა.

## ქალაქის საბჭო

11 მკათათვე.

კრება გაიხსნა საღამოს 8 საათ. 45 წ. თავმჯდომარემ ა. ი. ხატისოვმა, კრებას აუწყა-რა, რომ ქალაქიდან უკვე გასულია 28 ხმოსანი და სიცხეების გამო კიდევ ბევრი წავლენ, ასე რომ შემდეგ ორშაბათს იქნებ არც შესდგეს კრება, ითხოვა, რომ საჩქარო საკითხების განხილვა დღესვე უნდა მოვასწროთო და ამიტომ სხვა და სხვა შეკითხვებით დროს ნუ დავკარგავთ, თუ რომელიმე შეკითხვა ძლიერ საჭირო საქმის გამო არ იქნება გამოწვეულიო.

### შეკითხვები.

**ხმ. სულხანოვი.** ახალი ნახრის გამოქვეყნების შემდეგ ბევრი წვანილეულობა და ბოსტნეული სრულიად გაქრა ბაზარში. ეს იმის ბრალია, რომ შესაფერისად ფასები არ დაწესებულა საქონელზე. ზოგიერთი დარგი სოფლის ნაწარმოებისა ისე იაფად არის დაფასებული, მაგალითად, კიტრი, ბადრიჯანი და სხ., რომ მშვიდობიანობის დროსაც შეუძლებელი იყო მათი ამ ფასებში გაყიდვა. ასეთი მდგომარეობა ბაზრისა საფუძვლიანად იწვევს საყვედურს ქალაქის გამგეობისადმი, რომელმაც ნიხრი გააწერა და ამიტომ ორატორის აზრით, ხალხის ინტერესი მოითხოვს, რომ ნიხრი გადათვალიერებულ იქმნას.

თავმჯდომარე **ა. ი. ხატისოვის** აზრით საქონლის გადამალვის მიზეზი ის როდია, ვითომც უსამართლოდ იყვეს ფასები გაწერილი ამა თუ იმ საქონელზე, არამედ გადამალვით ვაჭრებს უნდათ ხელოვნურად ასწიონ ფასი საქონლისა, რაიცა არა ერთხელ უცდიათ ვაჭრებს.

**გამგ. წევ. მ. ა. ჯაბარი** ამტკიცებს, რომ წლეულს დიდი მოსავალია ბოსტნეულისა და ბაღეულისა, სოფლებში და რკინის გზის სადგურებზე დიდძალი საზამთრო, ნესვი, კიტრი და ბადრიჯანი აწყვია და გასაღებას ელის. გარდა ამისა ქალაქის გამგეობას კარგად აქვს შესწავლული ფასები ამა თუ იმ ნაწარმოებისა, რადგან თითონ დაიკვეთა იგი ლაზარეთებისათვის. ამიტომ ორატორს უსაფუძვლოდ მიაჩნია საყვედური გამგეობისადმი იმის გამო, რომ ვითომც მას ერთობ დაწეული ფასები გაეწესებიოს საქონელზე და ამის გამო სოფლის ნაწარმოების შემოტანა შეუძლებელი იყვეს.

**ხმ. გოთუა.** გაზეთებში დაბეჭდილი იყო, რომ მოსწავლე მოწყალების დებს ქალაქის გამგეობამ ნება არ დართო უსასყიდლოდ მიმოსვლისა ტრამვაის ვაგონებით. მართალია ეს ცნობა, თუ არა?

**თავმჯდ. ა. ი. ხატისოვი.** ეს ცნობა მართალია და გამგეობა ასე მოიქცა საბჭოს დადგენილების თანახმად, რომელმაც გადასწყვიტა, რომ უსასყიდლო წიგნაკები კვლავ აღარავის მისცეს, სანამ ამ საგნის შესახებ საკითხი საბოლოოდ არ გამოირკვევა.

### პროფესორ მეჩნიკოვის გარდაცვალების გამო.

**ა. ი. ხატისოვმა** კრებას აუწყა გარდაცვალება პროფესორის ი. ი. მეჩნიკოვისა და სთხოვა ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულის ხსოვნას და სამძიმრის დეპეშა გაუგზავნოს განსვენებულის ქვრივს.

წინადადება შეწყნარებულ იქმნა.

### ტრამვაისა და ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

კრება დაუბრუნდა ტრამვაის მოსამსახურეთა შუამდგომლობის შესახებ სასყიდლის მომატებისა ცხოვრების გაძვირების გამო. როგორც ვიცით, ამ საგნის წინასწარ განხილვა საბჭომ დაავალა, გამგეობისა, საფინანსო-საბიუჯეტო და სატრამვაიო კომისიების შეერთებულ კრებას. ამ უკანასკნელმა შუამდგომლობის დაკმაყოფილება საჭიროდ სცნო, მაგრამ რადგან ეს საქმე დიდ ხარჯს მოითხოვს, ამ ხარჯების დასაფარავად ტრამვაის ბილეთების 1 კაპეიკით გადიდება ურჩია საბჭოს. მაშინ საბჭომ საკითხი წინასწარ განსახილველად გადასცა იურიდიულ კომისიას, რომელსაც უნდა გამოერკვია, შეუძლიან თუ არა ქალაქის თვითმართველობას ტარიფი გაადიდოს, რადგან ტრამვაის შესახებ ჯერ დავა არ დასრულებულა ქალაქსა და ბელგიის უსახელო საზოგადოების შორის. იურიდიულმა კომისიამ, როგორც ვიცით, ამ საკითხის შესახებ დადებითი დასკვნა გამოიტანა, ე. ი. ქალაქის თვითმართველობას კანონით ნება აქვს ტარიფი გაადიდოსო.

ეხლა, ამ უკანასკნელ კრებაზე, მოსამსახურეთა სასყიდლის გადიდების წინააღმდეგ არავინ ლაპარაკობდა, მხოლოდ კამათი ასტყდა ტარიფის გადიდების შესახებ. ხმოსნების ერთი ჯგუფი, ი. მ. დოლუხანოვის თაოსნობით, ამტკიცებდა ტარიფის გადიდების მიუცილებელ საჭიროებას, რადგან უამისოდ, მათის აზრით, შეუძლებელია ჯამაგირების მიმატება. მეორე ჯგუფი ხმოსნებისა, მაგალითად, რამიშვილი, გოთუა, შავერდოვი, გალსტიანი და სხ., იმ აზრს ადგა, რომ ტარიფის გადიდება საჭირო არ არის, რადგან ხარჯებს ეხლანდელი შემოსავალიც კარგად გაუძლებს, ხოლო ბილეთების გაძვირება ერთი კაპეიკით საყვედურს გამოიწვევს ხალხში და ფულის დახურდავება დიდ დროს მოითხოვს და კონდუქტორებს ერთობ გაურთულებს საქმეს.

ზოგიერთი ორატორები მოითხოვდნენ, რომ ჯამაგირების მომატება ეხლავე გადასწყდეს, ხოლო რაც შეეხებ ამისათვის წყაროს გამონახვას, თუ გინდ ამ ტარიფის გადიდებაც საჭირო დარჩეს, ეს საკითხი დამოუკიდებლად იქნას განხილულიო.

დაფარულ კენჭის ყრით ჯამაგირების მომატების მომხრე აღმოჩნდა 22 კაცი წინააღმდეგ 12-სა ჯამაგირები მოემატებათ 1 მკათათვიდან.

ტარიფში ცვლილების მოხდენის შესახებ 1 ენკენისთვემდე ცალკე მოხსენება უნდა წარმოუდგინოს საბჭოს ქალაქის გამგეობის, საფინანსო-საბიუჯეტო და სატრამვაიო კომისიების შეერთებულმა კრებამ.

ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა მოთხოვნილების შესახებ კამათი წარსულ კრებაზე დამთავრდა, მაგრამ მაშინ კენჭის ყრა აღარ მოხერხდა, რადგან ბევრი ხმოსანი წავიდა და ქვორუმი აღარ დარჩა. ამ საკითხს ეხლა უყარეს კენჭი და სასყიდლის გადიდების მომხრე აღმოჩნდა 23 ხმოსანი 14 წინააღმდეგ. ამათაც 1 მკათათვიდან მოემატებათ სასყიდელი.

ორივე დადგენილება ე. ი. ტრამვაისა და ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა სასყიდლის გადიდება წლის დამლევამდე მოითხოვს ზედმეტ ხარჯს 218,000 მანეთამდე.

## რუსეთი

**სენატმა** აუწყა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ყოველნაირი განმარტება გამოცემულ კანონებისა მინისტრთა ცირკულიარებით უმართებულოა.

—

მოსკოველ **პოლონელთა** წრეებში უკანასკნელ დღეებში დაიმედებით ელოდენ განსაკუთრებულ აქტს რუსეთის მთავრობისაგან; ამ აქტში, რომლის შედგენა ვითომდა საზონოვს ჰქონოდა მინდობილი, უნდა გამორკვეულიყო დებულებანი პოლონეთის ავტონომიისა.

ახლა, როგორც ვიცით, საზონოვი ავათმყოფობის გამო სამინისტროს მოშორდა.

—

საეკლესიო ყრილობის წინასწარ თათბირის კომისიამ დაასრულა განხილვა საეპარქიო მმართველობის პროექტისა; პირველ თავში გარდაწყვეტილია რეფორმა ახლანდელ კონსისტორიებისა, რომელთაც როგორც ვიცით აბარიათ ერთ და იმავე დროს ადმინისტრატიული, ჩასამართლო და სამეურნეო საქმენი; მათ მაგიერ აარსებენ ორ განცალკევებულ ორგანოს: „ეპარქიალურ სასამართლოს“ და „ეპარქიალურ გამგეობას“.

—

მთავრობის წრეებში მიაქციეს ყურადღება იმ გარემოებას რომ ომის გამოისობით გამოცემულ განკარგულებათა ძალით ცალ-ცალკე უწყებებმა რომელთაც ჩააბარეს სასურსათო საქმე, შეზღუდეს უმაღლესი უფლებანი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა, რომელიც კანონპროექტის ძალით [illegible] უნდა ხელმძღვანელობდეს [illegible] უწყებათა უფროსების მოქმედებას.

### გოლდშტეინის აზრი.

პროფესორი გოლდშტეინი მოუწოდებს „რუსკოე სლოვოში“ საზოგადოებას ყურადღებით მოეპყრას გერმანელების ეკონომიურ ბატონობის მოსპობას, თორემ „ომი ბოლოვდება“ და ეს საკითხი კი ჯერ გაურკვევლად რჩებაო.

### გადმოხვეწილთა აყრა.

პეტროგრადში ამ ჟამად იმყოფება 100 ათასი გადმოხვეწილი, რომელთაგანაც 39 ათასი სარგებლობს საქველმოქმედო საზოგადოებათა დახმარებით; მთავრობას გადაუწყვეტია ყველა ამათი აყრა, რათა შეამსუბუქოს პეტროგრადში სურსათის საქმე.

### ერობა დონის ოლქში.

კანონ-პროექტის ძალით დონის ოლქზე გავრცელდება 1892 წლის საერობო დებულება; შეტანილი იქნება მხოლოდ ისეთი ცვლილებანი, რომელიც შეეხება დონის ოლქის მმართველობის განსაკუთრებულ სამხედრო ხასიათს.

### ქალაქთა კავშირში.

მთავრობამ გადასცა კავშირის პეტროგრადის კომიტეტს 2.971.800 მანათი ორი თვის განმავლობაში სახარჯოდ.

## უცხოეთი

ინგლისის ჟურნალში „ტუსი ნაინტლი სანტური“ მოთავსებულია ცნობილ მწერალ ელლის ბარკერის აზრი აზიის ოსმალეთის მომავალზე.

ბარკერი ამტკიცებს, რომ ოსმალეთის აზიის ვილაიეთებს განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს მეზობელ ერთათვის; ის სახელმწიფო, რომელსაც უკავია აზიის ოსმალეთი—ბატონობს ქვეყნის სამ ნაწილზე: აგრეთვე აუარებელი სიმდიდრე, დამარხული იქაურ მიწაში შეადგენს მუდმივ სადაო საგანს სხვა და სხვა სახელმწიფოსათვის; გაყოფა ოსმალეთისა მოკავშირეთა შუა გამოიწვევს გაუთავებელ დავას.

მაშასადამე, ამბობს ბარკერი, ოსმალეთის აზია უნდა გარდიქმნას ნეიტრალურ სახელმწიფოდ შვეიცარიის გვარად.

შვეიცარიაც ხომ არა იმიტომ გაჰხადეს ნეიტრალურ სახელმწიფოდ, რომ შვეიცარიელი ერის სიყვარული დაემსახურებიათო, არამედ ევროპის ინტერესების გამოისობით; ოსმალეთიც, ბარკერის აზრით, უნდა გადიქცეს ახალ შვეიცარიად—ძლიერ, დამოუკიდებელ და კარგად მომართული ბუფერ სახელმწიფოდ, რომლის მფარველი იქნება არა რუსეთი ან საფრანგეთი, მონდომებულნი ოსმალეთის მიწა-წყლის ჩამოჭრას, არამედ ინგლისი.

—

**იტალია-გერმანეთის ხელშეკრულების** ვადა თავდება მომავალ 1917 წლის იანვარში; თუ იტალიამ ამ წლის დასრულებამდის არ გამოაცხადა დარღვევა ხელშეკრულებისა იგი თავისთავად შევა ძალაში კიდევ ხუთი წლის ვადით. ამიტომ მოკავშირენი ყოველივე ღონეს ხმარობენ რათა ნაბიჯი გადაადგმევინონ იტალიას; „სეკოლო“ სწერს: სანამ იტალია არ გამოუცხადებს გერმანეთს ომს მანამდის იგი დაშთება მოკავშირეთათვის მეორეხარისხოვან ომის მონაწილეთო.

—

**ირლანდიის ავტონომიის** კითხვა თანდათან რთულდება; უნიონისტები—ულსტერლები სასტიკად ეწინააღმდეგებიან ლოიდ-ჯორჯის გეგმას; ირლანდიელი ნაციონალისტები თავის მხრით ითხოვენ ჰომრულის დაუყოვნებლივ განხორციელებას; მოსალოდნელია, რომ დაბოლოს ირლანდიელთა პარტია ოპოზიციაში ჩაუდგება ინგლისის მთავრობას, რაიც აუცილებლად საპარლამენტო კრიზისს გამოიწვევს.

—

**საფრანგეთის პარლამენტში** საგულისხმო ამბები ხდება; დეპუტატების თაოსნობით პალატამ საჭიროდ სცნო პარლამენტის კანტროლი სამხედრო საქმეში; მინისტრთა თავმჯდომარე ბრიანი ცდილობს შეავიწროვოს სფერო ამ კანტროლისა, რათა მთავრობა არ იქნეს ხელშეკრული თავის მოქმედებაში; ბრიანს აშინებს აგრეთვე უთანხმოება კანტროლისა და სამხედრო უწყების ხელმძღვანელთა შორის.

## დაბა-სოფლები

**ხ. მეჯვრისხევი.** როგორც ამბობენ, გორში ხოლერა გაჩენილა და რამდენიმე ადამიანი უმსხვერპლიაო. მეჯვრისხეველნი ამ ამბავმა შეგვაშფოთა, დღეს თუ ხვალ ჩვენშიაც იჩენს ეს სენი თავს. მეჯვრისხევში ამ სენისათვის დიდი ნიადაგია. უპირველესად ყოვლისა ჩვენი მდინარე მეჯუდა, რომელიც სოფელში რამოდენიმე რუდ იყოფა და რომელიც რამოდენიმე სხვა სოფლის ერთად-ერთ სასმელ წყალს წარმოადგენს, სავსეა ყოველივე სიბინძურით. ჯერ ზემო სოფელ ანდორეთსა და გორეთში ზედ პატივებზედ მომდინარეობს და შემდეგ ჩვენ უფრო ვაბინძურებთ ამ ერთად-ერთს ჩვენთვის სასმელს და ყოველნაირათ სახმარ მდინარეს. მდინარეში ჰყრიან ნაგავს, შიგვე რეცხენ უსუფთაო ლოგინსა, საფენსა. მედუქნენი რეცხვენ დაკლულ საქონლის შიგნეულს.

აუარებელი ნაგავ-პატივის გორებია უბნებში. ზოგი მეოჯახე, რომ ძალა არ დაგვატანონ, არ გაგვაზიდვინონო, ფიჩხს ანუ სხვა რამეს აყრის ზემოდან პატივის ზვინს, რათა თვალი აუხვიოს სოფლის მოხელეს და ძალა არ დაატანონ და არ გააზიდვინონ.

ვინმე თარელი.

—

**ქიზიყი.** ქვემო მაჩხაანის სათეატრო ასაშენებელ ფონდს შესწირეს სამასსამასი მანეთი ვასილ მიხეილის ძე და ალექსანდრე ვასილის ძე ნადირაშვილებმა.

—

ქვემო ქიზიყში გუბერნატორის მიერ მამასახლისებად დამტკიცებულ იქმნენ: მირზაანის საზოგადოებისა—ვასო ბლუკიშვილი, ხირსისა—შალვა ალიდაშვილი, მაჩხაანისა—ბესო ნატროშვილი.

—

ახალმა განკარგულებამ ჯარის კაცთა გაწვევის თაობაზე, ქიზიყელები საგონებელში ჩააგდო ისედაც უკაცოდ დარჩენილი მცხოვრებნი. ქიზიყში შიმშილი თან და თან მძვინვარდება. ფუთი ფქვილი ეხლავე 4 მანეთად ფასობს. მოსალოდნელია უფრო გაძვირდეს. ფუთი ყველი ეხლავე 26 მანეთად ფასობს და საშოვნელადაც ძნელია. ხორცის შოვნა არ არის. პატარა წიწილა 60 კაპიკიდან 1 მანეთამდე ფასობს. მუშა ხელის დიდი ნაკლულოვანება და დიდი გაჭირვებაა სოფლად.

## წერილი რედ. მიმართ *)

„საქართველოს" ამა წლის № 146-ში მოთავსებულია წერილი ჩემდამი რწმუნებულ ეკლესიის შესახებ ბ. ნ. კურდღელაშვილისა ამ სათაურით; დიდუბის გაქურდვის გამო".

პატივცემული ავტორი აუწყებს საზოგადოებას დიდუბის ეკლესიის გაქურდვის გარემოებათ ჩემის ნალაპარაკევის შეხედულებით და თავის რამდენიმე საკუთარი დასკვნა-შენიშვნებით.

არ შემიძლიან არ მოვახსენო ღრმათ პატივცემულ რედაქციას, რომ ზემოხსენებულ წერილში ჩემი ნათქვამი არ არის ყველგან სისწორით მოხსენებული და ვერც დავეთანხმები პატივცემულ ნ. კურდღელაშვილის აზრს, ვითომ დიდუბის ეკლესიაში ყველაფერი თავის წეს-რიგზედ არ იყოს, რაც ბოროზედ მოვლას თხოულობდეს.

პატივცემული ავტორი წერილის დასაწყისშივე ამბობს: „იმ ღამეს დეკ. ი. მირიანაშვილს სტუმრად ჰყოლია ნათესავი. მასლაათი ღამის 1 საათამდე გაგრძელებულა, შემდეგ დეკანოზს ჩვეულებისამებრ, ეკლესიისათვის შემოუვლია სტუმრიანათ, ხმა მაღალის ლაპარაკით. თითქოს სინათლეც შეუმჩნევიათ ეკლესიის გუმბათში, მაგრამ ელექტრონის შუქისთვის მიუწერიათ და გუმანს არ მოსულან".

მართალია, მე მქონდა საუბარი ბ. ნ. კურდღელაშვილთან ეკლესიის კედლების და გუმბათის გაშუქებაზედ იმ ღამეს, მაგრამ არა „შიგნიდან", როგორც მის წერილშია მოხსენებული, არამედ „გარედან". ამ ორ ცნებათა შორის კი, მგონია, დიდი განსხვავებაა. ან რა წარმოსადგენია, მე, ან ღვთით ყარაულებს გამოკეტილ ეკლესიის შიგნით უდროვოდ სინათლე შეგვენჩნია და მისთვის ყურადღება არ მიგვექცია?

ცოტა ქვევით ბ-ნი ნ. კურდღელაშვილი სწერს: „პროკურორმა, მაშინვე სამადლობელი პარაკლისი გადაახდევინა, რომ ღვთის მშობლის მადლმა ეკლესია მთლად გაძარცვისაგან იხსნა".

ესეც მართალი არ არის. პარაკლისი კრებულმა გადაიხადა, მხოლოდ ჩემის წინადადებით და არა პროკურორის თხოვნით. პროკურორის ამხანაგმა (პროკურორი არ ყოფილა) გვთხოვა ლოცვა. მხოლოდ განსაკუთრებლად თავის ავათმყოფის მეუღლისათვის, რომელიც წაღვერში ჰყავს წაყვანილი, როგორც მძიმე ავათმყოფი და არა ეკლესიის გაქურდვის გამო.

«მაძებარმა პოლიციამ ორი გაწვრთნილი ძაღლი მოიყვანა, ეს ძაღლები ეკლესიიდგან პირდაპირ დეკ. ი. მირიანაშვილის სახლისაკენ გაექანენ და გალავანთან გაჩერდნენ"-ო.

ორი ძაღლი მოიყვანეს, მხოლოდ ერთმა ეკლესიას შემოურბინა, მერე ჩემს ბინას, და გალავანთან გაჩერდა, მეორე კი ჩემს ბინისაკენ არ მისულა არამედ „პირდაპირ" ქუჩაში გავარდა.

„ერთი პატარა რუსის გოგოს (გვარი არ დაუსახელებია ჩვენთვის დეკანოზს) 9—11 წლისას თურმე ხელცახოცში გამოხვეული დაკარგული ნივთები უპოვნია ეკლესიის გალავანში საფლავის ქვაზედ".

სწორედ გასაოცარია, რათ უნდა დამესახელებინა გოგოს გვარი, როცა ბ. კურდღელაშვილს ეს ჩემთვის სრულიად არ უკითხავს, თუმცა რომ ეკითხნა კიდეც, ვერ დავუსახელებდი, რადგან მე თვითონ არ ვიცოდი ეს გვარი ისე, როგორც ის არ ვიცი ეხლა, რადგან ამას არა ვსაჭიროებ სრულიად და ვერც გამიგია—რომ მცოდნოდა, რად უნდა დამემალა ეს გვარი ბ. კურდღელაშვილისათვის, ან თვითონ იგი რა მნიშვნელობას აძლევს ამ საქმეში ბალღის გვარის დასახელებას? ამას გარდა პატარა გოგომ ეკლესიის გალავანში, კი არ იპოვა ნივთები ხელცახოცით, არამედ სხვა მახლობელ კერძო სახლის ეზოში, ალაყაფის კარებთან ქვებზედ (სახლი № 167).

„როგორც დეკ. ი. მირიანაშვილმა გადმოგვცა ეკლესიიდგან სამრეკლოსკენ მიმავალი კარი შიგნიდგან დაკეტილი არ ყოფილა, ეს კარი თურმე მუდამ იკეტებოდა, მხოლოდ იმ ღამეს „დარჩენიათ დაუკეტავი". „სამრეკლოს ზემოთა კარი მუდამ ღია ყოფილა".

არც ეს არის სიმართლით გადმოცემული. ორივე კარები სამრეკლოსკენ მიმავალი ყოველთვის იკეტება. ორ გვარად შეიძლება ამ კარების დაკეტვა, გადარაზვით და კლიტეებით. რადგანაც შიგნიდგან იკეტება ეს კარები, ამისთვის კლიტეებს არ ვხმარობდით. „იმ ღამეს", როგორც მოსამსახურემ მითხრა, ქვევითა კარი გადაერაზნა და ზევითა-კი არ ენახა, რადგანაც დარწმუნებული ყოფილა, რომ ეს უკანასკნელი უნდა გადარაზული ყოფილიყო, ვინაიდგან იმ საღამოთი ქარი იყო და დაუკეტავი კარი-კი ქარისაგან სულ დაიმტვრეოდაო.

„ვფიქრობ, რომ თვითონ პატივცემულმა დეკანოზმა ი. მირიანაშვილმა არ უნდა იცოდეს დანაკარგის რაოდენობა და ღირებულება".

დიახ, ზეპირად ყველაფრის დახსომება იმ პირისათვის, რომელსაც ათასი ყოველდღიური მიმდინარე მოვალეობა აწევს კისერზე, ადვილი არ არის. მაგრამ ეკლესიის კრებულს რომ ყველა შემოწირულ ნივთების სია აქვს, რომ მათი რაოდენობა კრებულისათვის ცხადია და რომ ამ საგნისთვის არსებობს სპეციალური დავთარი, რომლის ნახვა ბ. კურდღელაშვილს და სხვასაც მუდამ წუთს შეუძლიანთ, ამაში გთხოვთ პირადათ დარწმუნდეთ.

რაც შეეხება საზოგადოთ, ვითომ დიდუბის ეკლესიის მოუწესრიგებლობას, შესავალ-გასავალს და სხვას, რის გამოც თურმე „ბევრი მითქმამოთქმაა და ახლაც ათასი რამ ცრუ აზრი შეიძლება გავრცელდეს, „ამაზედ ვსთხოვ დიდათ პატივცემულ „საქართველოს" რედაქციას, რომ თვით თავის რწმუნებული პირებით გაეცნოს ყოველივე ამას ადგილობრივ, აღმოაჩინოს გემრიელი „თევზის დაჭერით" გატაცებული „წყლის ამღვრეველი", რათა „ერთხელ და სამუდამოთ" მოეღოს ბოლო შეუსაბამო ხმების და ცნობების გავრცელებას, რომელსაც არ ერიდებიან ერთი ან ორი პირადის მტრობით შეპყრობილნი ადამიანნი.

დიდუბის ეკლესიის წინამძღვარი

დეკ. ი. მირიანაშვილი.

—

*) ეს წერილი სრულებით უცვლელად იბეჭდება.

რედ.

პატივცემულ დეკანოზ იოსებ მირიანაშვილის განმარტება უცვლელად იბეჭდება. დეკანოზსა ჰსურს ზოგი რამ შესწორება შეიტანოს ჩემ მიერ გადმოცემულ მის ნალაპარაკევში. დეკანოზის გულწრფელობაში არც ეხლა შეგვეპქვს ეჭვი და არც მაშინ შეგვიტანია, როდესაც მე და ბ-ნ სანდრო შანშიაშვილს გაგვანდო თავისი განცდა და მოსაზრებანი ეკლესიის გაქურდვის მეორე დღეს.

პატივცემული დეკანოზი მეტად აღელვებული ბრძანდებოდა და ისეთს საგონებელს იყო მიცემული, რომ შესაძლებელია ზოგი რამ ნათქვამი ისეთს ფორმაში ვერ ჩამოაყალიბა როგორც საჭირო იყო. უმთავრესად ამ სულიერ მღელვარებას უნდა მიეწეროს პატივცემულ დეკანოზის გულმავიწყობა.

შეიძლება ჩვენც მიგვიძღოდეს რაიმე უნებლიეთ შეცდომა ნალაპარიკევის გადმოცემაში. მაგ. გუმბათის განათებაზე დეკანოზი ვგონებთ, მართალსა ბრძანებს.

იგივე ითქმის ნივთების პოვნის ადგილის შესახებაც.

მაგრამ ეს ყოველისფერი წვრილმანებია და როგორც მაშინაც ვსთქვით, გაქურდვის საქმეს სათანადო დაწესებულება გამოიკვლევს.

ჩვენი გილისყური მაშინ იმას მივაქციეთ რომ დიდუბის ეკლესიაში ყველაფერი თავის წეს-რიგზე არ არის. ამას ახლაც ვიმეორებთ. დღესაც არ არის ცხადი, რა ნივთები აკლიათ და რა ღირებულებისა. დეკანოზი სწერს: „ზეპირად ყველაფრის დახსომება იმ პირისათვის, რომელსაც ათასი ყოველდღიური მიმდინარე მოვალეობა აწევს კისრად, ადვილი არ არის".

სრული ჭეშმარიტებაა. მაგრამ ჩვენ პატივცემულ დეკანოზს ვესაუბრეთ ეკლესიის გაქურდვის მეორე დღეს. ვგონებ საკმარისი დრო იყო, რომ პასუხისმგებელ ადამიანს სცოდნოდა დანაკარგის რაოდენობა. უეჭველია სცადა კიდეც მაგრამ ვერ მოახერხა, რადგანაც ნივთების დანომრილობა არა ჰქონდათ.

ჩვენს შეკითხვაზე, დეკანოზმა ჯერ ოთხი-ხუთი თუმნის ნივთების დანაკლისი აღნიშნა, შემდეგ 8—9 თუმნის.

მარტო ეს გარემოებაც ნათელსა ჰყოფს, რომ დეკანოზი ზედმიწევნით ვარაუდობდა და ნამდვილად კი არ იცოდა, რამდენი რა აკლდა.

საჭიროა ეკლესიის ავლადიდება ისეთი წესით აღინუსხოს და დაინომროს, რომ მის შემოწმება სრულებით ადვილი და იოლი იყოს. ამისათვის უნდა იქონიონ არა **უბრალო სია** (რომელიც, თურმე ჰქონიათ კიდეც!!) არამედ **დანომრილი.**

ამითი ვათავებ ჩემს წერილს, რომელიც საკამათოდ არ დამიწერია. ეს საქმე მაინტერესებს იმდენად, რამდენადაც ყოველ კეთილ მოსურნე ქართველს.

საჭიროა, რომ ჩვენის დაუდევრობით თუ მოუცლელობით საზოგადო საქმე არა ზიანდებოდეს.

ნ. კურდღელაშვილი.

—

„საქართველოს" რედაქცია სიამოვნებით ეგებება პატივცემულ დეკანოზის წინადადებას და ადგილობრივ გაეცნობა დიდუბის ეკლესიის საქმეებს.

## თეატრი

**თიანეთი.** 4 მკათათვეს ადგილობრივ ახალგაზდობის მიერ წარმოდგენილ იქმნა „ქართველი დედა", ცაგარლისა, ადგილობრივ საქველმოქმედო საზოგადოების მიერ. ხალხი მეტად თანაგრძნობით შეხვდა, შემოსავალი კარგი იყო. მოთამაშეებს ეტყობოდათ დიდი შრომა და ენერგია დაეხარჯათ. კარგი იყო მეტად ქ. ეკატ. გოჯიაშვილი დედის როლში. კარგი იყო აგრეთვე ს. ნამორაძე ლეილას როლში. არა უშავდა-რა ფატმას როლში ქ-ნ სულხანიშვილს. ვაჟებმაც ლამაზათ ჩაატარეს თავიანთი როლები: სვ. გაგადუამეულმა, გრ. ხერხეულიძემ და ნ. გოგოლაძემ. არა უშავდათ რა ი. გოჯიაშვილს და ბ-ნ სუხიშვილს თავთავიანთ როლებში. დანარჩენები ანსაბლს ხელს უწყობდენ. დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი მ. გებნიაური, რომელიც ტეხნიკურად მეტად ხელს უწყობდა წარმოდგენას.

თიანეთში გონივრული გასართობი უცხო ხილია. კარგ მოვლენად უნდა ჩაითვალოს ყოველივე ეს. საჭიროა მეტი ერთგულება საქველმოქმედო საზ. წევრების მხრიდან.

კიკნა-ფშაველი.

## შემოწირულება

**ევდოშვილის ოჯახის სასარგებლოდ.** ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების ქვემო-მაჩხაანის განყოფილებამ იროდიონ ევდოშვილის გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო, სოფელ ქვემო-მაჩხაანში ორმოცის წირვაპანაშვიდი გადაიხადა. პანაშვიდის გადახდის შემდეგ დამსწრეთა შორის განყოფილების გამგეობამ იროდიონ ევდოშვილის ოჯახობის სასარგებლოდ შეაგროვა სამი თუმანი და ათი შაური. ვარდგენ რა ამ ფულს გადასაცემად დანიშნულებისამებრ, გთხოვთ გამოაცხადოთ სია შემომწირველთა.

**შემომწირველთა სია:**

სამ-სამი მანეთი: მღ. კ. ნინიკაშვილი, რაჟდენ ჯალიაშვილი, მიხეილ ნასიძე, დათა კორაშვილი, ალექსანდრე ნადიროვი, მღ. მიხეილ მენთეშაშვილი, თითო მანეთი: ელიკო იმერლიშვილსა, მაგდანი იმერლიშვილისა, ვასილ ნადიროვი, არჩილ ნაცვლიშვილი, მოსე ჯალიაშვილი, ალექსანდრე სარალიძე, ბაგრატ აბრამოვი, ნასყიდა მაისურაძე, ილიკო ჯანყარაშვილი, მღ. ათანასე იაშვილი, მღ. მ., ილია მენთეშაშვილი, თომა ტოკლიკიშვილი 50 კ.

X.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის
**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, . 7 „ | | 58 „ | საღ. |

**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის (პოსილკა") წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, А. А. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russepour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Croix Rouge.
> Agence des prisonniers de guerre Genève.

## ჯეჯილი

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

ოცდა მეშვიდე წელიწადი

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის

ჟურნალი „ჯეჯილი"

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა 26 წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.

**ფოსტის ადრესი:** Въ Тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили".

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

---

სავაჭრო სახლი

„ძმ. სესიევები და ამხ."

(ვაგზლის ქ. № 6)

...ით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

**ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო**

---

ღვინის საწყობი

**ნიკო გ. სესიაშვილისა**

იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი

**კახური ღვინო**

განოვის ქუჩა № 4.

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)

---

საუკეთესო კახური

**ღვინის საწყობი**

ადამ ზურაბის ძის

**ბერელაშვილისა**

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

---

ქ. ბაქოში

ღვინით ვაჭრობა

**„მელაანი"**

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

---

**შეშის საწყობი**

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ

**საკუთარი ტყიდან**

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

---

საგალანტერიო მაღაზია

**ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა**

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**

ხულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

---

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

**„განათლება"-ში**

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзэ.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

---

თევზის მრეწველნი

**ძმ. ძეგველოვები**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ზეით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალალა, მცირე მარილიანი, შავი „მუშოხნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.